CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 5 ოქტომბერი, 2009 წელი. №216 (2254) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ირლანდია ევროკავშირის რეფორმირებას მხარს უჭერს
A8

ერთი წიგნის ისტორია
A10

ფინალში „ლელოს„ „ბათუმი XV„ დაუპირისპირდება
A13

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ჭეშმარიტი Ჯგუფი

ნაბიჯი ინკვიზიციიდან ცივილიზებული სამართლისკენ

რეფორმა სამართალწარმოებაში, რომელსაც რევოლუციურს უწოდებენ

ინგა ალავიძე
თამარ კაკიტაძე

მართლმსაჯულებისა და სამართალწარმოების მთავარი ღერძი - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პარლამენტმა მეორე მოსმენით ივლისში მიიღო და, როგორც კანონპროექტის ავტორები და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელები აცხადებენ, ორ კვირაში მას მესამე მოსმენით მიიღებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა, ინკვიზიციური კანონმდებლობა შეჯიბრობითობის სისტემით უნდა შეიცვალოს. გთავაზობთ სამი მხარის მოსაზრებას - მართლმსაჯულების, პროკურატურისა და დაცვის მხარის პოზიციას.

გაგრძელება A6 გვერდზე

ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატი დიმიტრი ხაჩიძე

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი

საქართველოს საჯარო სამსახურის უფროსი ირაკლი კოტეტიშვილი

იმედგაცრუების კვირა

გიორგი ნიკოლეიშვილი

29 სექტემბერს უოლ-სტრიტი სამწუხარო წლისთავს აღნიშნავდა. ამ დღეს, ერთი წლის წინ დოუ ჯონსის სამრეწველო საშუალო მაჩვენებელი დღის განმავლობაში 778 პუნქტით დაეცა. ეს იყო ამ მაჩვენებლის ისტორიული რეკორდი. კიდევ უფრო მნიშვნელოვნად დაეცა ისეთი ინდექსები, როგორიცაა ნასდაქი და S&P 500 - დაახლოებით 9%-ით. ასეთი იყო ფინანსური ბაზრის რეაქცია კონგრესის გადაწყვეტილებაზე, როდესაც მან უარყო 700-მილიარდიანი დახმარება ფინანსური სექტორისათვის.

ერთი წლის შემდეგ ფინანსური ბაზრის განწყობა გაცილებით უკეთესია, რაც საფონდო ბაზარზე უკვე ორშაბათს აისახა.

გაგრძელება A4 გვერდზე



ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე ბენ ბერნანკე

ჩეჭმა და ჩალმა

ნოდარ ლადარია

ტალიავინის კომისიის დასკვნა გამოქვეყნდა! ამ მოვლენამ გამახსენა თბილისის... ვერაფრით ვერ დავიმახსოვრე, რა ჰქვია ამ თანამდებობას ვიცემერი თუ ვიცეპრემიერი ამიტომ ისევ ქართულად ვთარგმნი... ამ მოვლენამ გამახსენა თბილისის ქვეთავის, მამუკა ახვლედიანის უკვდავი სიტყვები, ახლახან, თბილისის პიანისტთა მეოთხე საერთაშორისო კონკურსის გახსნაზე წარმოთქმული: "თბილისის კულტურულ აფიშაზე ნამდვილად ღირშესანიშნავი დღე არი გამოკრული!". დიახ, ბატონებო, არც თვალი გატყუებთ და არც ყური სწორედ ასე განაცხადა თბილისის ქვეთავმა, მამუკა ახვლედიანმა: "არი გამოკრული". კონსერვატორიის დიდ დარბაზში მაშინ ქართული და არა მარტო ქართული მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენლები შეკრებილიყვნენ, მაგრამ ჩვენი ელექტრონული მედიის მიკროფონიანკამერებიანი ლაშქარი, ყველა, როგორც ერთი, მაინცდამაინც მამუკა ახვლედიანს მივარდა ინტერვიუს ასაღებად...

ერთი პირობა, ვიფიქრე, ეს ალბათ ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედიის ხალხი იქნება-მეთქი, მაგრამ ვერც მანანა დოიჯაშვილის ან თენგიზ ამირეჯიბის ახლო-მახლო შევნიშნე "მაესტროს" ან "კავკასიის" კორესპონდენტები, ასე რომ სულ მთლად მოვიწყინე. ბრძენ ქართველ ხალხს უთქვამს, უჯიშო ბუზი ფილტვზე დაჯდაო, ჰოდა, ამათ როგორღა უნდა მოგვცენ რაიმეს ადეკვატური შეფასება?

ამიტომაც არის, რომ ტალიავინის კომისიის დასკვნამ, პრაქტიკულად, არავითარი გავლენა არ მოახდინა ჩვენში უკვე შემუშავებული თვალსაზრისების განაწილებაზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

CMYK - 1

ოთარ ჭილაძის დაკრძალვა

მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ოთარ ჭილაძის სამოქალაქო პანაშვიდი გუშინ სამების საკათედრო ტაძარში ჩატარდა.

ტაძარში პანაშვიდზე მივიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. პრეზიდენტმა ოთარ ჭილაძის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვა და მიესალმა კლასიკოსი მწერლის მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვის გადაწყვეტილებას, რომელიც საპატრიარქომ და თბილისის მერიამ ერთობლივად მიიღეს.

"იგი ძალიან მოკრძალებული ადამიანი იყო, იშვიათად გამოდიოდა ტელევიზიით და თითქმის არასდროს აკეთებდა კომენტარებს, რადგან ის იყო ბუნებით შემოქმედი და მწერალი, მაგრამ როდესაც შარშან საქართველოს თავს დაესხა მტერი, მან უცხოურ პრესას რამოდენიმე ინტერვიუ მისცა, სადაც საუბრობდა, რომ რუსეთის სახელმწიფოსთვის საქართველოს დამოუკიდებლობა გენეტიკურად მიუღებელია. მინდა მივხედოთ იმას, რომ ახალგაზრდებმა იკითხონ მისი წიგნები, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოხდეს მისი პროზისა და პოეზიის პოპულარიზაცია, რათა მისი შემოქმედება შემდეგ თაობებს გადაეცეს,“ - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ოთარ ჭილაძე 76 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ნიკო ნიკოლაძის გვერდით დაკრძალეს.

კლინტონისა და ლავროვის შეხვედრა 13 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართება

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი და რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი ერთმანეთს 13 ოქტომბერს მოსკოვში შეხვდებიან.

რუსეთის საგარეო უწყების ცნობით, ბირთვული იარაღის შემცირების შესახებ რუსულ-ამერიკული მოლაპარაკებების მე-6 რაუნდზე, რომელიც ჟენევაში გაიმართა, გადაწყდა, რომ აუცილებელია მომავალი შეთანხმების გარკვეული დეტალების დამუშავება.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, ბირთვული იარაღის შემცირებაზე მომუშავე რუსული და ამერიკული ჯგუფების საქმიანობის შედეგი იქნება ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელსაც რუსეთისა და ამერიკის საგარეო უწყებების ხელმძღვანელები მოსკოვში განიხილავენ.

ინტერპრესნიუსი

უკრაინა მზად არის, წვლილი შეიტანოს რუსეთ-საქართველოს დაზავების პროცესში

ოფიციალური კიევი მზად არის, საკუთარი წვლილი შეიტანოს რუსეთ-საქართველოს დაზავების პროცესში.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, კიევი ეთანხმება რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის რეკომენდაციას იმის შესახებ, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა, რათა კონფლიქტში მონაწილე მხარეები მოლაპარაკებათა მაგიდას დაუბრუნდნენ.

„უკრაინის საგარეო პოლიტიკური უწყება ადასტურებს მზადყოფნას, შეიტანოს თავისი წვლილი ამ საქმეში და იმედოვნებს, რომ დამოუკიდებელი ექსპერტების ანალიზი უზრუნველყოფს საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევას, მათ შორის, ჟენევის დისკუსიების ფარგლებში, ამ სახელმწიფოთა შორის სიტუაციის დარეგულირებისა და მთლიანად რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების მიზნით," - აღნიშნულია განცხადებაში.

პირველი

უდო-ს კომისიაში განაცხადების შეტანის ვადა დღეს იწურება

უდო-ს კომისიაში პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ განაცხადების შეტანის ვადა დღეს იწურება. უდო-ს მუდმივმოქმედი კომისია პატიმრების განაცხადებს ყოველი თვის ბოლო კვირაში განიხილავს. განაცხადების განხილვის შემდეგ კომისია კონკრეტული პატიმრების პირობით ვადამდე გათავისუფლების რეკომენდაციით სასამართლოს მიმართავს.

ახლად დაკომპლექტებული კომისია პირველად 30 სექტემბერს შეიკრიბა და 74-დან 18 მსჯავრდებულის განაცხადი დააკმაყოფილა.

ჯი-ეიჩ-ენი

რუსეთი გაერო-ს დამკვირვებელთა მუშაობისთვის პირობებს აყენებს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი 2 ოქტომბერს ორდღიანი ვიზიტით აფხაზეთში ჩავიდა. ლავროვმა მარიონეტული რეჟიმის პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშთან და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასთან გამართა მოლაპარაკებები.

ვიზიტის ფარგლებში ლავროვმა და ბაგაფშმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას უვიზო მიმოსვლის შესახებ.

აფხაზეთში სტუმრობისას რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ "რუსეთი აფხაზეთში გაერო-ს დამკვირვებელთა მუშაობას იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუ ორგანიზაცია რუსეთისგან არ მოითხოვს სეპარატისტული რეგიონების აღიარებაზე უარის თქმას."

სერგეი ლავროვმა სტუდენტებსა და პედაგოგებთან შეხვედრის დროსაც აღნიშნა, რომ აფხაზეთში გაერო-ს დამკვირვებლების დაშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მისაღები, თუ ასეთ ფაქტს საერთო არაფერი ექნება ამ რესპუბლიკის აღიარებასთან. მისივე თქმით, ეს საკითხი საბოლოოდ თავად აფხაზეთის ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს.

ლავროვმა კიდევ ერთხელ უარყო ის ფაქტი, რომ რეგიონში ეუთო-სა და გაერო-ს დამკვირვებლების მუშაობა რუსეთის ინიციატივით დაიბლოკა.

მის განცხადებას საქართველოს საგაერო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა. როგორც საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მოსკოვისთვის უცხოა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მიღებული ქცევის და ელემენტარული ეთიკის წესებიც, თუმცა აგრესორი ქვეყნის მაღალჩინოსნებისაგან სხვა რამ მოსალოდნელი არ არის.

„ცხადია, რომ კრემლის სცენარისტებმა ამ მორიგი იაფფასიანი ფარსის გათამაშებით „ვიზიტისთვის" სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ელფერის მიცემა სცადეს. რად ღირს თუნდაც ოკუპანტი ძალის გადაწყვეტილება აფხაზეთის, საქართველო, მიმართ „უვიზო მიმოსვლის წესების" შემოღების შესახებ, რაც საკუთარ მარიონეტულ რეჟიმთან მიმართებაში განსაკუთრებით კურიოზულად გამოიყურება და მხოლოდ ანექსიონისტურ მიზნებს ემსახურება. კრემლი კვლავ განაგრძობს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დაწყებულ, საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ცინიკურ პოლიტიკას, რომელიც 2008 წლის აგვისტოს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიით, სუვერენული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილების ოკუპაციითა და ამ ტერიტორიებზე განხორციელებული ქართველთა ეთნიკური წმენდით „დაგვირგვინდა", - ნათქვამია განცხადებაში.

საკუთარი ინფორმაცია

სერგეი შამბა: დასავლეთის პოლიტიკა რეალობაში არარსებულ ფაქტს ეფუძნება

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აცხადებს, რომ ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-სა და ნატო-ს დამოკიდებულება აფხაზეთის მიმართ იმ ფაქტს ეფუძნება, რომელიც რეალობაში არ არსებობს.

"ეს პოლიტიკა ილუზიებზეა დაფუძნებული და ამიტომ რეალისტური, პრაგმატული და ხანგრძლივი ვერ იქნება. ამგვარი პოზიციის უუნარობა ცხადი ხდება და ადრე თუ გვიან დასავლეთი იძულებული იქნება, თავის პოზიციას გადახედოს," - აცხადებს სერგეი შამბა და დასძენს: "იქიდან გამომდინარე, რომ ისინი აფხაზეთს საქართველოს ნაწილად მიიჩნევენ, ამ რეგიონის მიმართ შეუძლებელია რაიმე სახის პრაგმატული პოლიტიკის აგება, რადგან ასეთი რეალობა, უბრალოდ, არ არსებობს.“

ინტერპრესნიუსი

რუსეთის საპატრიარქო აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მოსკოვში იმყოფებოდა საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური დელეგაცია, რომელსაც საერთაშორისო განყოფილების ხელმძღვანელი, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი მეუფე გერასიმე ხელმძღვანელობდა. დელეგაცია მოსკოვში 29 სექტემბერს ჩავიდა.

მეუფე გერასიმემ მოსკოვში მდებარე წმინდა გიორგის ქართულ ეკლესიაში მრევლთან შეხვედრისას თქვა: "ვიზიტის ფარგლებში რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენლებს შევხვდით, სადაც მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებენ და საქართველოს იურისდიქციას ცნობენ."

მისი თქმით, შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი თემა რუსეთის პატრიარქის მიერ გაკეთებული ის განცხადებაც იყო, რომელშიც კირილმა აგვისტოს ომში საქართველო ღიად დაადანაშაულა.

მეუფე გერასიმე აღნიშნავს, რომ მსგავსი თემების კომენტირებისას სასულიერო პირი, მით უმეტეს პატრიარქი, მაქსიმალურად ფრთხილი უნდა იყოს.

საპატრიარქოს დელეგაცია თბილისში გუშინ დაბრუნდა.

ჯი-ეიჩ-ენი

სოფელ დისევში გუშინ საღამოს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროდნენ

სოფელ დისევში გუშინ საღამოს რამდენიმე წუთის განმავლობაში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროდნენ. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" პოლიციის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ ჯუღელმა განუცხადა.

"სროლა უშუალოდ დისევის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ამგვარი ფაქტები ოკუპირებულ ტერიტორიაზე ძალიან ხშირად ხდება, შემდეგ კი სროლას ქართულ მხარეს აბრალებენ," - განაცხადა ვლადიმერ ჯუღელმა. მისივე განცხადებით, კონფლიქტის ზონაში ამ დროისთვის სიმშვიდეა.

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი კი ცეცხლის გახსნაში ამჯერადაც ქართველ სამხედროებს ადანაშაულებს. ე.წ. თავდაცვის სამინისტროს მტკიცებით, გუშინ, 21:45 საათზე, ქართული მხარის მიერ კონტროლირებად სოფელ მერეთიდან სოფელ დისევის მიმართულებით ქართულმა მხარემ ცეცხლი გახსნა. აქვე აცხადებენ, რომ ოსურ მხარეს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია.

ინტერპრესნიუსი

ნატო-ს კვირეული საქართველოში

ნატო-ს დღეები საქართველოში დღეს საზეიმო მიღებით გაიხსნება და 9 ოქტომბერს მუსიკისა და დრამის თეატრში სპექტაკლ "მარლენ დიტრიხის" წარმოდგენით დასრულდება.

ნატო-ს დღეების ფარგლებში, დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის კონფერენციები, შეხვედრები სტუდენტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან.

ნატო-ს დღეებს ალიანსის სპეციალური დელეგაცია დაესწრება. კვირეულის ფარგლებში საინფორმაციო ცენტრი, სტუმრებთან ერთად, ქუთაისს, ბათუმსა და გურჯაანს ეწვევა.

პირველი

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ჩეჭმა და ჩალმა

პირველი გვერდიდან

ყველა ძველ აზრზე დარჩა, ბოლმიანი ბუზღუნი და თვითკმაყოფილი ღიმილი კვლავ ქართული პოლიტიკური დისკუსიის ორი ჩვეული პოლუსია.

თუმცა ამ მოწესრიგებულ ქაოსში ეს კი ქაოსის ყველაზე სახიფათო სახეობაა იშვიათად მაინც ისმის ჯანსაღი სიტყვა. ამ მხრივ, "24 საათის" 29 სექტემბრის ნომერი ნამდვილად გამორჩეულია. აქ გამოქვეყნდა ორი სტატია:

1. ვასილ რუხაძე: "მორღვეული კავკასიის ქედი";

2. პაატა იაკაშვილი: "ძეგლი თუ კერპი?".

ეს სტატიები, ერთი შეხედვით, სხვადასხვა საგანს ეხება, მაგრამ მათ შორის არის რამდენიმე არსებითი მსგავსება.

ჯერ ერთი, ორივე სტატიაში არგუმენტაციის ღერძი წარსულის რაციონალური გაანალიზების ცდაა. სხვა სიტყვებით, ორივე ტექსტი ჩვენი ისტორიის ყველასათვის ცნობილი ფაქტების გააზრებულ წაკითხვაზე ამყარებს დასკვნებს. ეს თავისთავად მისასალმებელია, მით უმეტეს, რომ წარსულის გააზრებას საფუძვლად უდევს არა მტვრით დაფარული აკადემიური ინტერესი, არც ლოზუნგური ნაციონალიზმის პათოსი, არამედ მიმდინარე მომენტის სასიცოცხლო საჭიროება, რომელსაც არ შეიძლება არ გრძნობდეს არა თუ განათლებული, უბრალოდ, ზნეობრივი ადამიანი.

მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სხვა გარემოება. ეს სტატიები წარმოადგენს იმ ეროვნული ერთიანობის საინტერესო და უტყუარ მაგალითს, რომელსაც ასე ესწრაფოდა ჩვენი საზოგადოება, უფრო ზუსტად, მისი ის ნაწილი, რომელსაც საჯარო სივრცეში სიტყვა ეთქმის. ეს გარემობა ნამდვილად იმსახურებს უფრო დეტალურ განხილვას, ამიტომ შორიდან დავიწყებ.

რამდენიმე დღის წინათ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილემ მაცხოვრის ტაძრის წითელ დარბაზში მოიწვია არაბული ქვეყნების ელჩები. საუბარი, რა თქმა უნდა, ეხებოდა სტუმართა მიერ წარმოდგენილი ქვეყნებისა და რუსეთის პოლიტიკურ ინტერესთა სიახლოვეს. სხვათა შორის, პატრიარქმა კირილემ აღნიშნა, რომ მართლმადიდებლობასა და ისლამს შორის მრავალი არსებითი მსგავსებაა და ამათგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია სარწმუნოებისათვის სიცოცხლის გაწირვის ნება.

კირილეს ამგვარი ნაბიჯი არ უნდა გვაკვირვებდეს: რეალური პოლიტიკის პლანში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მხოლოდ მთავრობის ერთ-ერთი დეპარტამენტია; საეკლესიო ისტორიის პლანში მართლმადიდებელთათვის სულთნის ჩალმა პირველად არ არის პაპის ტიარაზე უფრო სანუკვარი. მაგრამ აქ ბევრად უფრო მძიმე საქმე მოხდა: პატრიარქმა ირიბად განაცხადა, რომ, ერთი მხრივ, კათოლიკეებსა და პროტესტანტებს ღირსეული მოწამეები არა ჰყავთ, მეორე მხრივ კი მართლმადიდებელი მოწამეები ძალიან გვანან შაჰიდ ტერორისტებს.

არა, ნამდვილად არსებობს ისეთი საკითხები, როცა არა აქვს მნიშვნელობა ვინა ხარ მემარცხენე თუ მემარჯვენე, ფიზიკოსი თუ ლირიკოსი, მისტიკოსი თუ რაციონალისტი, ზვიადისტი თუ პუტჩისტი, მიშმაკაკა თუ ჟოპო მთავარია პატიოსანი კაცი იყო და რა გზითაც არ ივლი, მაინც იმავე ადგილას მიხვალ. ამაოდ კი არ შეურჩევია პაატა იაკაშვილს თავისი ტექსტის ეპიგრაფად აპულეიუსის სიტყვები: "უზნეობა საკუთარი თავის უარყოფაა".



გული არ მითმენს, მაინც უნდა განვმარტო: იმით კი არ უარყოფ საკუთარ თავს, რომ უზნეო ხარ (ამგვარ ბანალობას არ იტყოდა აპულეიუსი), არამედ საკუთარი თავის უარყოფა არის უზნეობის საფუძველი...

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რომ პაატა იაკაშვილი და ვასილ რუხაძე ძალიან სხვადასხვანაირი ადამიანები არიან. უფრო მეტიც, პირადად მე მილიონ საბაბს მოვძებნიდი მათთან საკამათოდ. პირველისაგან განსხვავებით, დარწმუნებული ვარ, რომ არავითარი "ეროვნული ენერგია" და მსგავსი სისულელეები არ არსებობს და ამ ენაზე ლაპარაკი გულუბრყვილობაა; მეორეს კი ვეტყოდი, რომ კავკასიის ქედის ფაქტორი დღევანდელ პირობებსა და სტატიაში განხილული საკითხების ფარგლებში მხოლოდ მეტაფორა შეიძლება იყოს და არა ნიშნადი გეოპოლიტიკური რეალობა.

მიუხედავად ამისა, ჩემი საწინააღმდეგო ხედვითა და საგრძნობლად განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილებით მე მაინც იმავე დასკვნამდე მივედი, რადგან ეს დასკვნა არსებითად უკავშირდება ჩვენი "საკუთარი თავის", სხვა სიტყვებით, ჩვენი საერთო სახელმწიფოებრივი და ეროვნული არსებობის შენარჩუნებას, ესე იგი, ჩვენს საერთო ზნეობას.

ახლა კი დაწვრილებით.

იაკაშვილის სტატია სტალინის ძეგლის დემონტაჟს ეხება, რუხაძისა კი საქართველოს უსაფრთხოების ახალ გამოწვევებს. ამ მეორე ტექსტში დასკვნები სამ პუნქტად არის ჩამოყალიბებული, ამიტომ უფრო ადვილი იქნება მათ საფუძველზე მოვახდინოთ სამი ადამიანის ზემოხსენებული ავტორებისა და ქვემორე ხელისმომწერის თვალსაზრისთა შეჯერება.

ა) მთელმა ქართველმა საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ რუსეთი საქართველოსათვის საფრთხეს წარმოადგენს. ვასილ რუხაძის ამ აზრს საკმაოდ ცალსახად ეხმიანება ის ადგილი პაატა იაკაშვილის ტექსტიდან, სადაც ნათქვამია, რომ გორში სტალინის ძეგლის არსებობა შეუარცხყოფაა იმ ჩვენი მოკავშირეებისა, რომლებმაც დაგვიცვეს ომის დროს და რომელთა ისტორიულ ბედს მძიმე დაღი დაასვა სტალინიზმმა.

მართალია, პაატა იაკაშვილის სტატიაში შეინიშნება 1990-იანი წლების დასაწყისის "ეროვნული მოძრაობისთვის" დამახასიათებელი ჟღერადობა, მაგრამ ავტორმა იპოვა საკუთარ თავში სულიერი ძალა, რომ ეთქვა: დროა, ულვაშა ბელადის თაყვანისმცემელმა გიგო პაპებმა ცივი წყალი დალიონ! ასევე ცივი წყალი უნდა დალიონ სტალინისტ გიგო პაპებზე ანეგდოტების მოყოლით გართულმა მწერლებმა და იმათ, ვინც მთელ ამ უბადრუკ საფუძველზე აკადემიური დისკუსიის გამართვას ლამობს იმ აზრით, რომ, აქაოდა, ჯერ თავებიდან ამოშალეთ და მერე მოედნიდან გადაიტანეთო... თუ ნათქვამია, რომ ოსვენციმის შემდეგ პოეზია აღარ უნდა იყოს ისეთი, როგორც ოდესღაც, ასევე მართალია, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აღარ არის "ინნილიგენტური" აბსტრაჰირების დრო დრო, საერთოდ, აღარ არის, რადგან ყოველი წამი ძვირფასია.

მაგრამ ეყოფა კი ხელისუფლებას ჯიგარი? მე კი უფრო იმისი მეშინია, რომ ჯიგარზე მეტად კომპეტენცია არ ეყოფა იმისათვის, რომ დიპლომატიის ცენტრი აღმოსავლეთ ევროპისკენ გადაანაცვლოს და იქ, საერთო ბედის მოზიარეთა შორის ეცადოს საკუთარი ხმისა და მკლავის გაძლიერებას. ჯერ-ჯერობით კი კარგად გალობს გრიგოლ ვაშაძე, არც კანონით არის აკრძალული მინისტრად უცხო ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში უკვე ისმის და ნელ-ნელა ძალას იკრებს ჯერ კიდევ გაუბედავი შეკითხვა: მაინც რატომ ეძვირფასება ეს რუსეთის მოქალაქეობა? რა თავში იხლის? ან კი მისი "საკუთარი თავი" სად არის?

ბ) მთელმა საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რაოდენ სასტიკი და უმოწყალოა ჩვენი მტერი, გვეუბნება ვასილ რუხაძე. აქ კი უნდა ითქვას, რომ არც პაატა იაკაშვილისთვისაა უცხო ანეგდოტების მოყოლა. წავიკითხოთ: "აი ერთი ქართულ-სტალინისტური სიბრძნის ნიმუში. ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში რუს შოვინისტს ქართველისთვის უთქვამს, რუსის ჩექმის ქვეშ ხართო. ქართველს ნიშნისმოგებით უპასუხია: ის ჩექმა ხომ ქართველს აცვიაო...". ახლაც არ გვაკლია იგივე მონური აღტაცება. რამდენიმე ხნის წინათ ინტერნეტში გამოქვეყნდა მანიფესტი, რომლის თანახმად ახალმა საქართველომ "უარი უნდა თქვას ყოველგვარ ძალადობაზე, მათ შორის თავდაცვით ომზე". ეს დესტრუქციული ბოდვა მხოლოდ უკიდურესად კონცენტრირებული გამოხატულებაა იმ გაუთავებელი "სვეტური" ლაპარაკისა საქართველოს "ზემილიტარიზაციაზე", რომლითაც უკვე თავი გადაგვჭამეს "ცნობადმა სახეებმა". "მაჰათმაგანდობანა" ლამის სალონურ თამაშად იქცა თბილისში მაგრამ მშვიდობის მტრედი მაჰათმა განდი ისეთივე ცალმხრივი მითია, როგორიც მთაწმინდაზე დასვენებული ზვიად გამსახურდია: ფეხშიშველი მოძღვარი ინდოეთის სოფლებში ყბადაღებულ არაძალადობას კი არ ქადაგებდა, არამედ პირადი ჰიგიენის ელემენტარულ წესებს. მის თანამემამულეებს ეს უფრო სჭირდებოდა, არაძალადობის იდეა კი გაქსუებულ და უსაქმობის გამო მემარცხენეობით გართულ ბურჟუებზე უფრო ახდენდა შთაბეჭდილებას.

შვედებს მშვენივრად ეყოთ ფინელების მწარე მაგალითი იმისათვის, რომ გონივრულად და ზედმეტი ხმაურის გარეშე ეზრუნათ საკუთარ თავდაცვისუნარიანობაზე, საქართველოში კი თავდაცვაზე საუბარი რატომღაც ცუდ ტონად ითვლება, თუმცა საკუთარი მაგალითის სიმწარე საკმარისზე მეტია, რადგან რუსეთს "ვრიგლიზე" უფრო ხანგრძლივი გემო აქვს...

გ) ვასილ რუხაძის მესამე დასკვნა ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია: "ქართველმა საზოგადოებამ უნდა შეწყვიტოს არაბუნებრივად და არარეალურად დიდი იმედების დამყარება საერთაშორისო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკურ და დიპლომატიურ დახმარებასა და მათ დეკლარაციებზე". ამის მიზეზად ორი რამ არის დასახელებული: 1) რუსეთმა ყველა ხელშეკრულება გათელა; 2) დასავლეთი იმათ ეხმარება, ვინც საკუთარ თავს საკუთარი ბრძოლითა და სისხლით იცავს. აქაც, როგორც ვხედავთ, ჩვენი ზნეობის საფუძვლად ის არის დასახული, რომ საკუთარი თავი არ უარვყოთ.

ამ ორიოდე წლის წინათ საქართველოში მყოფი ერთ-ერთი გერმანული ფონდის ხელმძღვანელი მეუბნებოდა, რომ არ ესმის, რატომ ისწრაფვის საქართველო ნატოსა და ევროკავშირისკენ მაშინ, როცა რუსეთთან ბევრად უფრო ახლოსაა კულტურულად და იდეურად.

ამიტომაც ვამბობ, რომ სტალინის კერპის მატერიალური ჩამოკვარცხლბეკება იმის აშკარა და ხილული საბუთი იქნება, რომ საქართველოს სახელმწიფო მიეჩვია განცხადებული არჩევანის თანმიმდევრულ განხორციელებას, წვრილმანი დაბრკოლებების მედგრად დაძლევას. სხვათა მრავალთა შორის ესეც დაგვარწმუნებს, რომ ჩვენმა არჩეულმა ხელისუფლებამ არა მარტო სახნისზე ხელის დადება ისწავლა, არამედ ისიც შეიგნო, რომ უკან მოხედვა დამღუპველია.

მხოლოდ მაშინ გვექნება მორალური უფლება დავამოწმოთ მთელი მსოფლიოს წინაშე: რუსეთი უბრალოდ შედარებით ლოიალურ პოლიტიკას კი არ ატარებს იმ ბოროტების მიმართ, რომელიც მსოფლიოს თვალში მეტ-ნაკლებად გრძელი რიგის სახით ჩანს ალ ყაიდა, ტალიბანი, ფიდელ კასტრო, კიმ ჩენ ირი, მუამარ კადაფი, უგო ჩავესი... რუსეთი თვითონ არის ამ ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი.

საქართველოში ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე აღინიშნა

ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ქალაქ თბილისის მერიამ და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ ერთობლივი საქველმოქმედო აქციით აღნიშნეს, რომელსაც ეწოდებოდა: "დავეხმაროთ ხანდაზმულებს ხუთი კარტოფილით"

აქციაში ჩართულნი იყვნენ თბილისის მე-100-ე, 82-ე, მე-14, 23-ე, 146-ე, 24-ე, 63-ე და 64-ე საჯარო სკოლები. ამ სკოლებში აქტიურად მუშაობდნენ "ხუთთა კომიტეტები"- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პირველადი ახალგაზრდული წარმომადგენლობები სკოლებში, რომლებიც სკოლის მოსწავლეებისაგან შედგება.

აქციის ფარგლებში, ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეს საჯარო სკოლებში მოსწავლეთა მიერ სურვილის მიხედვით შეგროვდა კარტოფილის გარკვეული რაოდენობა, რომელიც შემდეგ სკოლებში არსებული საქართველოს წითელი ჯვრის "ხუთთა კომიტეტებმა", სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა დაანაწილეს. აქციას საქართველოს მასშტაბით შეუერთდნენ: გარდაბნის რაიონის მუნიციპალიტეტი, გარდაბნის ადგილობრივი წითელი ჯვრის ორგანიზაცია და გარდაბნის რაიონში მდებარე ორი საჯარო სკოლა; საჩხერის რაიონის მუნიციპალიტეტი, საჩხერის რაიონის ადგილობრივი ორგანიზაცია და საჩხერის რაიონში მდებარე სამი საჯარო სკოლა; სენაკის წითელი ჯვრის ადგილობრივი ორგანიზაცია და სენაკის რაიონში მდებარე ორი საჯარო სკოლა;

აქციის მეორე დღეს ქალაქ თბილისის მერიის მიერ გამოყოფილი ავტობუსების მეშვეობით მოხალისეებმა შეგროვილი პროდუქტი რაიონებში მცხოვრებ იმ უმწეო მარტოხელა ხანდაზმულებს დაურიგეს, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფებიან და დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი თითქმის არ შესწევთ.

ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე სხვადასხვა აქციით აღნიშნა შიდა ქართლის გუბერნიამ, გორის მუნიციპალიტეტმა და გორის წითელი ჯვრის ადგილობრივმა ორგანიზაციამ, აგრეთვე იმერეთის გუბერნიამ, ქუთაისის მერიამ და ქუთაისის ადგილობრივმა ორგანიზაციამ.

რთველში, პოლიტიკოსების გარდა, დიპლომატებიც ჩაერთნენ

კახეთში, ყვარლის რაიონში, ერთ-ერთ ადგილობრივ გლეხს ყურძნის კრეფაში საქართველოში საფრანგეთის ელჩი ერიკ ფურნიე და ამერიკის ელჩის თანაშემწე დაეხმარნენ.

რთველის შემდეგ დიპლომატებმა ყურძნის დაწურვაში მიიღეს მონაწილეობა, მოგვიანებით კი მწვადის შეწვაც სცადეს.

"რთველში საქართველოში პირველად ვარ. მანამდე ყურძენი ჩემი ბაბუის ვენახში, საფრანგეთში მაქვს დაკრეფილი. საქართველოში განსხვავებული ტრადიციაა და მე ეს ძალიან მომწონს," - განაცხადა ფურნიემ.

ყვარელში, დიპლომატებთან ერთად, "ქრისტიან-დემოკრატიული" პარტიის ლიდერი გიორგი თარგამაძეც იმყოფებოდა. მან საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს ქართული ადათ-წესების გაცნობაში დახმარებას მომავალშიც დაჰპირდა.

"გაერთიანებული ტელეკომი" ახალი პროდუქტის NOVUS TV -ის პრეზენტაციას გამართავს

ხვალ, 5 ოქტომბერს, 13.00 საათზე კომპანია "გაერთიანებული ტელეკომი" სასტუმრო "რედისონში" გამართავს **ახალი პროდუქტის NOVUS TV** -ის პრეზენტაციას.

ახალი პროდუქტი საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მიიღოს სრულყოფილი და მაღალხარისხიანი ტელევიზია ინტერნეტის მეშვეობით, ისარგებლოს მინიმუმ 100 არხით. სურვილის მიხედვით შეარჩიოს სპორტული, გასართობი და საინფორმაციო არხები. შეუძლია დააპაუზოს ცოცხალი ეთერი, გადაახვიოს რამდენიმე დღის წინ გასული გადაცემები და მიიღოს ინფორმაცია მისთვის სასურველ დროს. შექმნას ინდივიდუალური პაკეტები ოჯახის წევრებისთვის. ონლაინ-რეჟიმში შეუკვეთოს და შეიძინოს პროდუქცია.

კომპანიამ ამ პროექტის გასახორციელებლად მთლიანად გამოცვალა სახაზო-საკაბელო მეურნეობა და მოამზადა თავისი ინფრასტრუქტურა თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად.

იმედგაცრუების კვირა

პირველი გვერდიდან

აქციების ფასებმა ამ დღეს ისე მოიმატა, რომ თითქმის ერთ დღეში გადაფარა წინა კვირის ვარდნა. მოელოდნენ რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლის გამოქვეყნებას ამერიკის შეერთებულ შტატებში და ეს მოლოდინი ძალიან ოპტიმისტური იყო. სამწუხაროდ, ბევრს ელოდა დიდი იმედგაცრუება.

წინა სამშაბათს გამოქვეყნდა სამომხმარებლო დარწმუნებულობის ინდექსი (Consumer Confidence Index). ამ ინდექსს სისტემატურად აქვეყნებს ნიუ-იორკის ერთ-ერთი კვლევითი ფირმა და ის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად ითვლება, რომელიც მომხმარებლების განწყობას განსაზღვრავს. ინდექსის მნიშვნელობა იყო 53.1 (აგვისტოში - 54.5), მაშინ, როდესაც ანალიტიკოსები 57-ს მოელოდნენ. მომხმარებელი ყოველდღიური სარგებლობის ნივთების შეძენისას უკიდურეს სიფრთხილეს იჩენს, რაც არ უნდა კარგი იყოს ეს ეკონომიკისთვის. მით უმეტეს, ეს ხდება მაშინ, როდესაც ამერიკაში არდადეგების სეზონია, რომლის დროსაც ამერიკელები განსაკუთრებით ბევრს ყიდულობენ.

ცნობილი გახდა, რომ შეერთებულ შტატებში და მთლიანად მსოფლიოში უმუშევრობა გაიზარდა. პარასკევს გამოქვეყნებული ინფორმაციით, უმუშევრობამ შეერთებულ შტატებში სექტემბერში მიაღწია 9.8%-ს, რაც ნიშნავს 263 000 სამუშაო ადგილის დაკარგვას. უმუშევრობა გაიზარდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ყველა ქვეყანაში (შევახსენებ მკითხველს, რომ ეს არის მსოფლიოს ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ქვეყნების ორგანიზაცია). უმუშევრობის მაჩვენებელი ამ ქვეყნებში იცვლებოდა 3.2%-დან ნიდერლანდებში 17.6%-მდე ესპანეთში.

შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტის მზარდი დეფიციტი ბევრი ეკონომისტისა და ფინანსისტის უკიდურეს შეშფოთებას იწვევს. ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი თავმჯდომარე პოლ ვოლკერის (Paul Volcker) აზრით, შეიძლება საჭირო გახდეს ახალი ფედერალური გადასახადის შემოღება. ექსპერტების აზრით, ასეთი შეიძლება იყოს დამატებითი ღირებულების გადასახადი (value-added tax - VAT). ბევრ შტატში არსებობს ადგილობრივი გადასახადი გაყიდვაზე, რომელიც თავისი შინაარსით დღგ-ს წააგავს, მაგრამ ასეთი ტიპის გადასახადი ფედერალურ დონეზე აქამდე უცნობი იყო.

ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარემ ბენ ბერნანკემ (Ben Bernanke) ამერიკის კონგრესს თხოვნით მიმართა, გაამკაცრონ უმსხვილესი ამერიკული კორპორაციების საქმიანობის რეგულირება. განსაკუთრებით ეს ეხება არასაბანკო ფინანსურ ინსტიტუტებს. მისი აზრით, კონგრესმა ამ მიზნით უნდა შექმნას ფედერალური მთავრობის რეგულატორთა საბჭო. ბერნანკემ ძირითადად მხარი დაუჭირა ამერიკის პრეზიდენტის

„ბანკ ოფ ამერიკას" ხელმძღვანელი კენ ლიუისი

ინიციატივებს, რომლის მიზანიცაა მომხმარებელთა და აქციონერთა უფლებების უფრო მკაცრი დაცვა, უმსხვილესი კორპორაციების ფინანსური კონტროლი, რათა არ დაუშვას მათ მიერ სარისკო ფინანსური პოლიტიკის გატარება, საჭიროების შემთხვევაში ამ კორპორაციების რეორგანიზაცია ან ეტაპობრივი ლიკვიდაცია.

ერთადერთი კარგი ამბავი იყო, რომ გაიზარდა სახლების ფასები ამერიკაში. შესაბამისი ინდექსი S&P Case-Shiller Home Price index გაიზარდა 1.6%-ით წინა თვესთან შედარებით. ინდექსი იზრდება ზედიზედ მესამე თვეა, თუმცა ის ჯერ კიდევ 13.3%-ით დაბალია, ვიდრე 2008 წლის ივლისში. ყველაზე მკვეთრად ფასები გაიზარდა მინეაპოლისში - 4.6%-ით და სან-ფრანცისკოში - 3.3%-ით.

ცუდი ამბების ასეთმა რაოდენობამ სათანადოდ იმოქმედა ინვესტორების განწყობაზე. სამშაბათიდან დაწყებული, აქციების ფასები მნიშვნელოვნად დაეცა მთელ მსოფლიოში.

შედარებით სტაბილური იყო ფასები ნედლეულზე. თუმცა კვირის დასაწყისში მკვეთრად დაეცა ნავთობის ფასი. ანალიტიკოსების აზრით, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ კვლავ დაბალი რჩება მოთხოვნა. მაგალითად, ივლისში დაფიქსირდა ყველაზე დაბალი მოთხოვნა უკანასკნელი 13 წლის განმავლობაში. მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება ნავთობის დიდი მარაგები, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, აგრეთვე თბილი ზამთრის მოლოდინი ჩრდილოეთ ამერიკაში. ყოველივე ამან ზოგიერთ ანალიტიკოსს საფუძველი მისცა ევარაუდა, რომ ნავთობის ფასი 60 დოლარს ქვემოთ დაეცემა, მაგრამ შუა კვირაში ის ბარელზე 70 დოლარს დაუბრუნდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის განცხადებით, მსოფლიოს საფინანსო სისტემა გამოჯანსაღების გზაზეა, თუმცა რისკები კიდევ რჩება. მიმდინარეობს ბანკების დაბრუნება კაპიტალის ბაზარზე და მათი რენტაბელობის აღდგენა. წლის დასაწყისში პრობლემური კრედიტების რაოდენობა, რომელთა ჩამოწერაც, სავარაუდოდ, ბანკებს მოუხდებოდა, დაახლოებით 4 ტრილიონ დოლარად ფასდებოდა. მიმდინარე შეფასებით კი ეს არის დაახლოებით 3.4 ტრილიონი დოლარი. მიუხედავად ამისა, ბანკებს სჭირდებათ მასშტაბური დახმარება ჩამოწერილი აქტივების და ზარალის ასანაზღაურებლად, რესტრუქტურიზაციისა და ძველი კრედიტების რეფინანსირებისათვის. ამ შემთხვევაში ისინი შეძლებენ ეკონომიკის დაკრედიტებას, რაც აუცილებელია კრიზისის შედეგების გადასალახად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეცვალა თავისი პროგნოზი მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შესახებ 2009-2010 წლებში. 2009 წელს ის მოელის 1,1%-იან ვარდნას, ნაცვლად ადრე ნავარაუდევი 1.4%-ისა, ხოლო 2010 წელს 3.1%-იან ზრდას, ნაცვლად 2.5%-ისა.

ერთ-ერთმა უდიდესმა ამერიკულმა ფარმაცევტულმა კომპანიამ Abbott Laboratories 4.4 მილიარდ ევროდ შეიძინა ბელგიური კომპანია Solvey S.A. ეს წელს უკვე Abbott Laboratories-ის მეხუთე მსხვილი შენაძენია. Abbott Laboratories -ის წლიური ბრუნვა 19 მილიარდ დოლარს შეადგენს.

„ტოიოტა" წლის ბოლომდე 3.8 მილიონ ავტომობილს გამოიხმობს შეერთებულ შტატებში. გამოხმობას დაექვემდებარება „ტოიოტას" ძირითადი მარკები Camry, Avalon, Prius, Tacoma, Tundra, Lexus. ეს არის ყველაზე დიდი რაოდენობის მანქანების გამოხმობა კონცერნის ისტორიაში. მიზეზი - მძღოლის იატაკის ხალიჩაა. კონცერნის აზრით, დეფექტი ხელს უშლის მანქანას სიჩქარის აკრეფაში და შეუძლია შექმნას საავარიო სიტუაცია.

მიუხედავად ამისა, „ტოიოტა" ოპტიმიზმით უყურებს მომავალს. წლის ბოლომდე ის საზღვარგარეთ 3%-ით მეტ ავტომობილს გაყიდის, სულ 6.7 მილიონს, ვიდრე აქამდე იყო პროგნოზირებული. მნიშვნელოვნად, 6.45 მილიონამდე გაიზრდება ავტომობილის წარმოება იაპონიაში. ანალიტიკოსები ამას უკავშირებენ სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს სუბსიდიებს და საგადასახადო შეღავათებს ახალი, ეფექტური ძრავის მქონე მანქანებისთვის.

გადადგა „ბანკ ოფ ამერიკას" (Bank of America) ხელმძღვანელი (CEO) კენ ლიუისი (Ken Lewis). მას აკრიტიკებდნენ გარიგებისთვის, როდესაც 2008 წლის სექტემბერში „ბანკ ოფ ამერიკამ" კრიტიკულ სიტუაციაში მყოფი უდიდესი ამერიკული საინვესტიციო ბანკი „მერილ ლინჩი" (Merrill Lynch) შეიძინა. გარიგება დაჯდა 50 მილიარდი დოლარი, რაც თითქმის ორჯერ მეტი იყო „მერილ ლინჩის" იმდროინდელ კაპიტალიზაციაზე. ლიუისის დაცვა სცადა ისეთმა დიდმა ფინანსურმა ავტორიტეტმა, როგორიცაა უორენ ბაფეტი. ბაფეტის სიტყვებით, ეს გარიგება რომ არა, „მერილ ლინჩი" მეორე უდიდესი საინვესტიციო ბანკის - „ლემან ბროზერსის" (**Lehman Brothers**) ხვედრს გაიზიარებდა და ეს იქნებოდა საშინელი დარტყმა ამერიკის ფინანსური სისტემისათვის. მიუხედავად ამისა, ეს გარიგება, უფრო სწორად, ლიუისის ზოგიერთი მოქმედება ამ გარიგების გახორციელების დროს, საყოველთაო კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცა. განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ „ბანკ ოფ ამერიკას" დაპირების მიუხედავად - „მერილ ლინჩი" 2009 წლის 1 იანვრამდე არ გადაიხდიდა პრემიებს და ბონუსებს, „მერილ ლინჩის" თოპ-მენეჯერებმა 2008 წლის შედეგების მიხედვით მიიღეს ბონუსები 5,8 მილიარდი დოლარი. ამავე დროს, ბანკი ფედერალური მთავრობისაგან სუბსიდიებს იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი 33 მილიონი დოლარით დაჯარიმდა, ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია (მთავარი მარეგულირებელი ორგანო ამერიკაში კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე) აპირებს გააგრძელოს ბანკისა და მისი თოპ-მენეჯერების სამართებლივი დევნა აქციონერების მოტყუებისათვის.

ამერიკაში გამოქვეყნებული მონაცემებით, 400 უმდიდრესი ამერიკელის ქონება 300 მილიარდი დოლარით ანუ 19%-ით შემცირდა და ახლა დაახლოებით 1,27 ტრილიონი დოლარის ტოლია. უმდიდრესი ამერიკელების სიის სათავეში 50-მილიარდიანი ქონებით ბილ გეიტსი (Bill Gates) რჩება.

არშემდგარი „ოქროს სია"

მანანა ვარდიაშვილი

2009 წლის 15 იანვრიდან საქართველოს საბაჟოზე „ოქროს სია" მოქმედებს, რომლის მეშვეობითაც მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის საბაჟო პროცედურები მნიშვნელოვნად გამარტივდა. პროცედურების გამარტივება მსხვილ და კეთილსინდისიერ იმპორტიორებს ფინანსების დაზოგვის, საბაჟო ორგანოებს კი ადმინისტრაციული რესურსის უფრო ეფექტურად გამოყენების საშუალებას აძლევს. საქართველოს საბაჟოზე „ოქროს სიის" ამოქმედებიდან თითქმის 8 თვის შემდეგ ირკვევა, რომ გამარტივებული საბაჟო პროცედურებით სარგებლობის მსურველთა რიცხვი მიზერულია. ოფიციალური მონაცემებით, საბაჟოზე არსებული პრივილეგიებით ამ დროისთვის მხოლოდ 4 კომპანია სარგებლობს, მაშინ, როცა ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნებს დაახლოებით 116 კომპანია აკმაყოფილებს.

„ოქროს სიის" მონაწილეს უფლება აქვს, საბაჟო დეკლარაცია ელექტრონულად წარადგინოს, განბაჟება კი საზღვარზევე განახორციელოს, ანდა ტვირთი საზღვრიდან პირდაპირ თავის საწყობში წაიღოს და განბაჟება იქიდან მოახდინოს. დეტალურ შემოწმებას არც „ოქროს სიის" წევრის მიერ წარდგენილი დეკლარაცია და დოკუმენტები ექვემდებარება.

„ოქროს სიაში" მონაწილეობის უფლება აქვთ: დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნის საელჩოებს, საკონსულო დაწესებულებებსა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ სამინისტროებს.

„ოქროს სიაში" მოხვედრის შანსი აქვთ ასევე საქართველოში არსებულ იმ საწარმოებს, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს მიერ წაყენებულ გარკვეულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ: „ოქროს სიის" წევრი საწარმო უნდა იყოს დღგ-ს გადამხდელი; მის მიერ დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების მაჩვენებელი 10 მლნ. ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს; იმპორტის გადასახდელების მაჩვენებელი 1,8 მლნ ლარს უნდა აღემატებოდეს, ანდა იმპორტის საბაჟო რეჟიმის გამოყენების მიზნით წარდგენილი დეკლარაციების დიდი ოდენობით (არანაკლებ 100 ცალი) გამოირჩეოდეს. გარდა ამისა, მას არ უნდა ჰქონდეს საბაჟო და საგადასახადო დავალიანება და საბაჟო ორგანოებისთვის ცნობილი საქმიანობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება უნდა გააჩნდეს.

„ოქროს სიის" ამოქმედებას მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები და ექსპერტები დადებითად აფასებდნენ. მათი აზრით, ეს პროგრამა იმ ბიზნესმენებს, რომელთაც საბაჟო დეპარტამენტთან ხშირი შეხება აქვთ, ყოველდღიურ ცხოვრებას მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებდა. „ოქროს სიის" წევრებისთვის ამ პროგრამით მინიჭებული მთავარი უპირატესობა ის არის, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი ტვირთი საზღვრიდან პირდაპირ საკუთარ საწყობში ან მაღაზიებში წაიღონ. ფაქტობრივად, საზღვარზე შემოტანილი ტვირთი უკვე თავისუფალ მიმოქცევაშია.

ექსპერტები მოელოდნენ, რომ „ოქროს სიის" მეშვეობით არაპირდაპირ სარგებელს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებიც მიიღებდნენ: ფაქტია, რომ ნებისმიერ საბაჟოზე რიგს სწორედ მსხვილი ბიზნესის ტვირთი ქმნის. თუ „ოქროს სიის" მეშვეობით საბაჟოს მსხვილი ბიზნესის ტვირთი მოაკლდებოდა, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები საკუთარ ტვირთს უფრო სწრაფად განაბაჟებდნენ და ფინანსური დანახარჯიც შეუმცირდებოდათ, რადგან ტვირთის საწყობში გადატანა და მანქანების დაქირავება აღარ მოუწევდათ.

„24 საათთან" საუბარში ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესმენი აცხადებს, რომ მისი კომპანია „ოქროს სიაში" მოხვედრისთვის დაწესებულ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. მიუხედავად ამისა, ის ამ სიაში გაწევრიანებას და მნიშვნელოვნად გამარტივებული საბაჟო პროცედურებით სარგებლობას არ აპირებს. ამის მიზეზად ბიზნესმენი ფინანსთა სამინისტროს მიერ წაყენებული მოთხოვნას ასახელებს, რომლის თანახმადაც „ოქროს სიის" წევრმა საბანკო გარანტიის სახით ანგარიშზე 100 000 ევრო უნდა დადოს. როგორც ჩანს, გლობალური საფინანსო კრიზისის ფონზე 100 000 ევროს დაკონსერვების იდეას ბევრი მსურველი არც ახლო მომავალში გამოუჩნდება. გამორიცხული არ არის, ფინანსთა სამინისტრომ ექსპერტთა რეკომენდაციით საბანკო გარანტიის მოთხოვნის წესში ცვლილებები შეიტანოს.

საბანკო კრედიტით სარგებლობა

მანანა ვარდიაშვილი

გლობალური საფინანსო კრიზისის შედეგად კრედიტების მოხმარების სურათი მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვნად შეიცვალა. გამონაკლისი არც საქართველოა. მარკეტინგული კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითიმ" საბანკო კრედიტებთან მიმართებაში საქართველოს მოქალაქეების განწყობის შესწავლის მიზნით სპეციალური კვლევა ჩაატარა. გამოკითხვაში, რომელიც 2009 წლის აგვისტოში რეპრეზენტატული შერჩევის საფუძველზე ჩატარდა, საქართველოს დიდი ქალაქების 1800 ზრდასრული მცხოვრები მონაწილეობდა. მარკეტინგული კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითიში" აცხადებენ, რომ მონაცემების სტატისტიკური ცდომილება 2.4 პროცენტს არ აღემატება.

როგორც „ეისითის" აგვისტოს კვლევის მონაცემები ცხადყოფს, ამჟამად კრედიტით საქართველოს ურბანული მოსახლეობის ერთი მეხუთედი (20 პროცენტი) სარგებლობს. აღსანიშნავია, რომ გასული წლის აგვისტოში განვითარებულ მოვლენებამდე, ანუ 2008 წლის ივლისში, კრედიტით საქართველოს ურბანული მოსახლეობის 24 პროცენტი სარგებლობდა.

თუ გავითვალისწინებთ საკრედიტო პირობების გამკაცრებას, ბუნებრივია, რომ საბანკო კრედიტით სარგებლობის სამომავლო განწყობა მნიშვნელოვნად შემცირდა - მომავალი 6 თვის მანძილზე საბანკო კრედიტის აღების განზრახვა ზოგადად ურბანული მოსახლეობის მხოლოდ 7 პროცენტს აქვს. მაშინ, როცა 2008 წლის ივლისში კრედიტის აღებას საქართველოს მასშტაბით ორჯერ უფრო მეტი მოსახლე - 15 პროცენტი აპირებდა.

კრედიტის აღების თვალსაზრისით, ყველაზე აქტიურნი ქუთაისის მცხოვრებლები აღმოჩნდნენ (13 პროცენტი), ყველაზე დაბალი მოთხოვნა საბანკო კრედიტებზე კი ბათუმში დაფიქსირდა (4 პროცენტი).

რაც შეეხება განსხვავებებს სოციალური სტატუსის ჭრილში, ბუნებრივია, რომ საბანკო კრედიტით სარგებლობისადმი განწყობა შემოსავლის ზრდასთან ერთად მატულობს - რაც უფრო მეტად გადახდისუნარიანია მოქალაქე, მით უფრო მეტად აქვს კრედიტის აღების სურვილი და, სავარაუდოდ, მოლოდინიც. მომავალი 6 თვის მანძილზე კრედიტის აღების მზადყოფნა აღმოაჩნდა ყოველ მეათე (11 პროცენტი) საშუალო შემოსავლიან და ყოველ მეხუთე (18 პროცენტი) მაღალშემოსავლიან ურბანულ მცხოვრებს.

ნიკა გილაური ოფიციალური ვიზიტით თურქეთში მიემგზავრება

ხვალ, 5 ოქტომბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური და მთავრობის ეკონომიკური გუნდი სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით თურქეთში გაემგზავრება.

როგორც მთავრობის პრესსამსახურში აცხადებენ, ქართული დელეგაცია სტამბულში, 5 ოქტომბერს დაგეგმილ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიურ შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.

გარდა ამისა, საქართველოს სამთავრობო დელეგაცია საქართველო-თურქეთის ბიზნესფორუმშიც მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ასევე სტამბულში 6 ოქტომბერსაა დანიშნული. ამასთან, დაგეგმილია ოფიციალური შეხვედრების გამართვაც, რომლის პროგრამაც ამ ეტაპზე ზუსტდება.

წინასწარი ინფორმაციით, გილაურთან ერთად, თურქეთში ეკონომიკის მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილიც გაემგზავრება.

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა ეროვნულ ვალუტაში 1.3%-ით ხოლო უცხოური ვალუტაში 1.4%-ით შემცირდა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2009 წლის 1-ლი სექტემბრის მდგომარეობით, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 15.6 მლნ.ლარით (1.3 პროცენტით) შემცირდა და 1.2 მლრდ ლარი შეადგინა. რაც შეეხება უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხებს, სებ-ის მონაცმებით, მისი მოცულობა 75.3 მლნ ლარით (1.4 პროცენტით) შემცირდა და 1 სექტემბრისათვის 5.3 მლრდ ლარი შეადგინა.

რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2009 წლის აგვისტოს ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ 475.9 მლნ ლარის (გასული თვის მონაცემებთან შედარებით 1.5 პროცენტით ანუ 7.1 მლნ ლარით ნაკლები), ხოლო უცხოური ვალუტით - 2.4 მლრდ ლარის (გასული თვის მონაცემებთან შედარებით, 3.5 პროცენტით ანუ 86.9 მლნ ლარით ნაკლები) მოცულობის სესხი.

იურიდიული პირების დაკრედიტების მთლიან მოცულობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი - 46.6 პროცენტი ვაჭრობის სფეროზე მოდის. მიმდინარე წლის ივლისთან შედარებით, ვაჭრობის სფეროსათვის გაცემული სესხების მოცულობა 0.9 პროცენტით შემცირდა და 1.3 მლრდ ლარი შეადგინა.

მრეწველობაზე გაცემული სესხების წილი იურიდიულ პირებზე გაცემული ვადიანი სესხების საერთო მოცულობაში 20.4 პროცენტს შეადგენს, რაც 2009 წლის 1 სექტემბრისათვის 589.7 მლნ ლარით განისაზღვრა (5.4 პროცენტით ნაკლები წინა თვესთან შედარებით); 11.0 პროცენტი მოდის მშენებლობაზე, რაც 318.6 მლნ ლარია (11.2 პროცენტით ნაკლები, შესაბამისად). ამდენად, იურიდიული პირების დაკრედიტების საერთო მოცულობის 78.1 პროცენტი მხოლოდ სამ დარგზე - მრეწველობაზე, მშენებლობასა და ვაჭრობაზე მოდის.

გასული თვის განმავლობაში 1.2 პროცენტით შემცირდა ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და 2009 წლის 1 სექტემბრისათვის 2.1 მლრდ ლარი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), მიმდინარე წლის 1 აგვისტოს მდგომარეობასთან შედარებით, 75.3 მლნ ლარით (1.4 პროცენტით) შემცირდა და 1 სექტემბრისათვის 5.3 მლრდ ლარი შეადგინა.

იაპონიის ყოფილი ფინანსთა მინისტრი გარდაცვლილი იპოვეს

იაპონიის ყოფილი ფინანსთა მინისტრი და საფინანსო სამსახურების ექს-სახელმწიფო მინისტრი სეიტი ნაკაგავა საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ტოკიოს პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ დროისთვის ნაკაგავას გარდაცვალების კონკრეტული მიზეზები უცნობია.

56 წლის ექს-მინისტრი საკუთარი სახლის საძინებელში გარდაცვლილი იპოვეს.

მიმდინარე წლის თებერვალში, ნიკაგავა მას შემდეგ, რაც რომში დიდი შვიდიანის წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელთა პრესკონფერენციაზე, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადდა, ოპოზიციის წარმომადგენელთა დაჟინებული მოთხოვნით იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა.

თავად ნაკაგავამ თავისი მდგომარეობა გაციების საწინააღმდეგო პრეპარატების დიდი დოზის მიღებით ახსნა და ამტკიცებდა, რომ "სასმელი მხოლოდ პროტოკოლის ფარგლებში" ეკავა ხელში.

მაშინ მან იაპონელ ხალხს შექმნილი უხერხულობისთვის ბოდიშიც მოუხადა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ნაბიჯი ინკვიზიციიდან ცივილიზებული სამართლისკენ

პირველი გვერდიდან

ქართული მართლმსაჯულება მნიშვნელოვანი ცვლილებების მოლოდინშია. სისხლის სამართლის რეფორმის ჩასატარებლად შექმნილი ჯგუფის მიერ შემუშავებულ სიახლეებს შორის, ალბათ, უმნიშვნელოვანესი ის გახლავთ, რომ ბოლოს და ბოლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საბოლოო ვარიანტი, ფაქტობრივად, მზად არის. დღეს მოქმედი საპროცესო კოდექსი, რომელიც ინკვიზიციურ მოდელზეა აგებული, იცვლება ცივილიზებული ანგლო-საქსონური მოდელით, რომელზეც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სამართალწარმოებაა აწყობილი. ძველი სისხლის სამართლის კოდექსის, ანუ, კომუნისტური სამართალწარმოების ნგრევისკენ კიდევ ერთი, დიდი ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა საქართველოში საბჭოური ინკვიზიციური სამართალწარმოება საბოლოოდ მას შემდეგ დასამარდება, როცა კანონპროექტს პარლამენტი მესამე მოსმენით განიხილავს და კანონის სახით დაამტკიცებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე მუშაობა დაახლოებით ათი წლის წინ დაიწყო, თუმცა იმ დროს მომზადებულ კანონპროექტზე საკმაოდ ბევრი შენიშვნა გამოითქვა, რის გამოც მისი პარლამენტში დამტკიცება ვეღარ მოხერხდა. 2004 წლიდან საპროცესო კოდექსის პროექტზე მუშაობა აქტიურად განახლდა და წინა მოწვევის პარლამენტმა კანონპროექტის ახალი ვერსია პირველი მოსმენით დაამტკიცა. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი ვარიანტის დროული მიღება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ექსპერტები, რომლებიც ამ კანონპროექტზე მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ, მიიჩნევენ, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უდავოდ პროგრესული ნაბიჯია ქართულ სამართალწარმოებაში, თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. თუ ექსპერტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ კანონპროექტის დღევანდელი სახე თითქმის სრულყოფილია, სხვები ირწმუნებიან, რომ კანონპროექტში ხარვეზები მრავლადაა და მათი გამოსწორება აუცილებელია.

ევროპელ ექსპერტთა ეჭვი - შეძლებს თუ არა საქართველო შეჯიბრებით სამართალზე გადასვლას

იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის აპარატის ყოფილი უფროსი, ამჟამად საქართველოს საჯარო სამსახურის უფროსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის კოორდინატორი ირაკლი კოტეტიშვილი:

- ამ პროექტის მიღება, ფაქტობრივად, რევოლუციური რეფორმაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის წარმოება გადადის თვისობრივად ახალ ეტაპზე. ეს თავისთავად პოლიტიკური რეფორმაა, რადგანაც, ხელისუფლების პოლიტიკური ნების გარეშე ისეთ სფეროში, როგორიცაა სისხლის სამართალი, მსგავსი გადატრიალება ვერ განხორციელდებოდა. ეს რეფორმა არ დაწყებულა დღეს, დაიწყო 2004 წელს, როცა შეიქმნა რეფორმების კომისია და სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უზარმაზარი შრომა გასწია ახალი კოდექსის შესაქმნელად.

რა იცვლება? პირველ რიგში იცვლება სისხლის სამართალწარმოების ინკვიზიციური სისტემა, როგორც გამოძიებისას, ასევე სასამართლოში. ანუ შემოდის შჯიბრებითი სისხლის სამართალი. დღეს არსებული მოდელით, არსებობს ბრალდების მხარე, ბრალდებულის დაცვის მხარე და დაზარალებული. პროექტის მიხედვით კი, იქნება ორი მხარე - ბრალდება და დაცვა. დაზარალებული მხარე აღარ იარსებებს და მხოლოდ ბრალდებასა და ბრალდებულის დაცვის მხარეს მიეცემა საშუალება, მტკიცებულებების წარდგენით, საკუთარ პოზიციაში დაარწმუნოს მოსამართლე ან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ეს არ გულისხმობს იმას, რომ მოხდება დაზარალებულის ინტერესების უგულებელყოფა. პირიქით, მას ექნება სასამართლოში სიტყვის თქმის უფლება და მეორეც, სასჯელის შეფარდების დროს დაზარალებულს ეძლევა საშუალება, მოსამართლეს წარუდგინოს დეტალური ინფორმაცია მის მიერ განცდილი ზიანის თაობაზე. ანუ, ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულის უფლებები კვლავ სრულყოფილად არის დაცული, უბრალოდ, ის აღარ იქნება მხარე, არ ექნება შეკითხვების დასმის, მოწმისა თუ სხვა პირის დაკითხვის, განაჩენის გასაჩივრების და შუამდგომლობის დაყენების უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის აღარ იქნება საპროცესო ფიგურა. დაზარალებული პროცესზე დაიკითხება მოწმის სახით. ახალი საპროცესო კოდექსის პროექტით მინიმუმამდეა დაყვანილი იმის რისკი, რომ დაზარალებულის პოზიცია არ გაჟღერდეს პროცესზე. ეს ცვლილება საშუალებას მისცემს მოსამართლეს, პროკურორს, დაცვის მხარეს, რომ უკეთ გაერკვნენ საქმის არსში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი პროექტის ძირითადი პრინციპი სწორედ ეს არის - სისხლის სამართალი გადადის შეჯიბრებითობის სისტემაზე. ეს ეხება როგორც გამოძიების ეტაპს, ასევე სასამართლო განხილვის ეტაპს.

მეორე ფუნდამენტური ცვლილებაა ის, რომ გამოძიება შეიზღუდება ძალიან მკაცრად ვადებში. წესდება 60-დღიანი გამოძიების ვადა. ეს ნიშნავს იმას, რომ ეჭვმიტანილის სტატუსი აღარ იარსებებს, იქნება მხოლოდ ბრალდებული და მსჯავრებული და იმ წუთიდან, როცა გამოძიებას შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე ეყოლება ბრალდებული, ჩაირთვება 60-დღიანი საგამოძიებო ვადა. ამით პროკურატურის დატვირთვა მნიშვნელოვნად იზრდება, სამაგიეროდ, ვაღწევთ იმ პრინციპს, რასაც სწრაფი მართლმსაჯულება ჰქვია.

ამ პერიოდში გამომძიებელი ვალდებულია, დაასრულოს გამოძიება და საქმე განსახილველად გასცეს სასამართლოს. თუ გამომძიებელს არ ექნება საკმარისი მტკიცებულებები იმისთვის, რომ პირი ბრალდებულად გამოაცხადოს და დააკავოს, რა თქმა უნდა, ეს ვადა არ იმოქმედებს. ანუ, ნებისმიერი გამომძიებელი და პროკურორი, მას შემდეგ, რაც საქმეში ეყოლება ბრალდებული, ვალდებულია 60 დღეში დაასრულოს გამოძიება. პირის დაკავებიდან 9 თვის განმავლობაში კი უნდა დადგეს მის მიმართ განაჩენი. ახალ კოდექსში იმპერატიულად არის ჩადებული, რომ თუ ბრალდებულის მიმართ ამ ვადაში განაჩენი ვერ დადგება, იგი უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

კიდევ ერთი სიახლეა ისიც, რომ იცვლება ბრალდებულად ყოფნის 24-თვიანი ვადა და მცირდება 12 თვემდე, რა თქმა უნდა, ეს არ ეხება იმ ბრალდებულებს, რომლებიც პატიმრები იქნებიან, ანუ - საპატიმრო ვადას. საუბარია იმაზე, რომ თუ ბრალდებულს გირაო ექნება შეფარდებული, მისი სასამართლო პროცესი უნდა ჩაინიშნოს 12 თვეში, ნაცვლად დღესარსებული 24 თვისა.

იცვლება მოწმის დაკითხვის წესიც. ის აღარ დაიკითხება წინასწარი გამოძიებისას, ჩაკეტილ ოთახში. ანუ, თუ აქამდე მოწმეს კითხავდა პროკურორი და გამომძიებელი, ახალი კოდექსის მიხედვით, წინასწარი გამოძიების მსვლელობისას მოწმე უნდა დაიკითხოს საჯაროდ - სასამართლოში და ამ დაკითხვას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს მეორე მხარე. ამით გამოირიცხება ეჭვი, რომ მოწმეზე მხარე ახდენს ზეწოლას.

მნიშვნელოვანი ცვლილებაა ასევე ის, რომ მოსამართლეს ეძლევა უფლება, საკუთარი ინიციატივით დასვას შეკითხვები, მოიწვიოს მოწმეები ან დანიშნოს ექსპერტიზა. ანუ, მოსამართლეს ეძლევა სიმართლის მაძიებლის ფუნქცია. მოსამართლემ საშუალება უნდა მისცეს მხარეებს, თაბრად წარმოადგინონ საკუთარი პოზიციები და მათი შეჯერებით მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება.

და ასევე, ახალი საპროცესო კოდექსით შემოღებული იქნება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა. თავდაპირველად ასეთი სასამართლო განზრახ მკვლელობის საქმეებს განიხილავს და, ექსპერიმენტის სახით, მხოლოდ თბილისში ამოქმედდება. მეორე ეტაპზე, 2012 წელს - ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და დაემატება უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ასამოქმედებლად საპილოტოდ პირველ წელს შერჩეულია თბილისის საქალაქო სასამართლო, რათა ამ ინსტიტუტმა საქართველოში ტესტირება გაიაროს ანუ გამოვცადოთ ყველა თვალსაზრისით, რათა, როცა იგი მთელ ქვეყანაში ამოქმედდება, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი შესაძლო ხარვეზები.

რაც შეეხება მტკიცებულებების მოპოვებას, აქაც ძირეულად იცვლება პროცესი და ორივე მხარეს ექნება საშუალება, თანაბარი ძალებით მოიპოვოს მტკიცებულებები. გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა ჩხრეკა, ამოღება და სხვა, რომელზეც ყველა სხვა ქვეყანაში სახელმწიფო მონოპოლია არსებობს და კერძო პირები ვერ ატარებენ, ორივე მხარეს თანაბარი უფლებები ექნება ჩაატარონ მტკიცებულებების მოსაპოვებლად სხვა საგამოძიებო მოქმედებები.

საპროცესო კოდექსის პირვანდელმა ვარიანტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, მაგრამ ვერ დავეთანხმები ჩვენს ოპონენტებს იმაში, რომ ამ ცვლილებებმა გააუარესა დაცვის უფლება. ეს დადასტურდა კიდეც პარიზში, ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ კონფერენციაზე, რომელსაც საპროცესო კოდექსის პროექტზე მომუშავე ყველა მხარე ესწრებოდა. ამ შეხვედრიდან ორი კვირის შემდეგ პარიზიდან ჩამოგვივიდა დასკვნა, სადაც ხაზგასმით წერია, რომ ეს კანონპროექტი არის დემოკრატიისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი. უფრო მეტიც, ევროპელმა ექსპერტებმა გარკვეულწილად ეჭვიც გამოთქვეს, რამდენად შეძლებს საქართველო შეჯიბრებით სამართალზე გადასვლას, რადგან განხორციელების ის გზები, რომელიც ჩადებულია ახალ კოდექსში, არის საკმაოდ ამბიციური, პირველ რიგში - პოლიციისთვის, პროკურატურისთვის, სასამართლოსთვის, რადგან ამ სტრუქტურების მუშაობა ძალიან რეგლამეტირებულია.

დაცვა ბრალდების თანასწორი არ არის

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატი დიმიტრი ხაჩიძე:

- კანონპროექტში არის არა ერთი უარყოფითი ნიუანსი, რომელმაც შეიძლება გადაფაროს სხვა მნიშვნელოვანი, პროგრესული ნორმა. მაგალითად, კანონპროექტით, მართალია, ადვოკატს აქვს გამოძიების უფლება, მაგრამ ეს ნორმა არ არის უზრუნველყოფილი რაიმე მექანიზმით. კერძოდ, გამოძიებას თუ შეუძლია სახელმწიფო ან კერძო სტუქტურიდან გამოითხოვოს ესა თუ ის მტკიცებულება და ამის შესრულება სავალდებულოა, ადვოკატის შემთხვევაში, ამ სტრუქტურებს მის წინაშე არანაირი ვალდებულება არ ეკისრებათ. ახალ კანონპროექტში მხარეთა თანაფარდობა დაცულია დეკლარირების დონეზე, მაგრამ, როდესაც თითოეულ მუხლს ჩაულრმავდები, ხვდები, რომ დაცვის მხარეს ბერკეტები და მექანიზმები ნაკლებად აქვს. მნიშვნელოვანია ის, რომ შემოდის შეჯიბრებითობის პრინციპი, მაგრამ მას აქვს ერთი ნაკლი: ბრალდების მხარეს შუძლია მოითხოვოს ექსპერტიზის ჩატარება და თანხებს სახელმწიფო გაიღებს, დაცვის მხარემ კი, საკუთარი ხარჯები უნდა გაიღოს, თუ ექსპერტიზა არ დანიშნა სახელმწიფომ. თანაც, სავალდებულო ექსპერტიზის ცნება აღარ არსებობს. არადა, დღეს მოქმედ პროცესში არის რამდენიმე სახის სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების ნორმა, რაც ახალი პროექტიდან ამოღებულია. ეს კი ცუდია, რადგანაც, ხშირ შემთხვევაში, დაცვის მხარე ხარჯის გადახდას ვერ ახერხებს.

ვიმეორებ, შეჯიბრებითობის პრონციპის შემოღება ძალიან კარგია, დაცვა და ბრალდება თანაბარ პირობებში იქნებიან, მაგრამ გასათვალისწინებელია, რამდენად მოხდება ამ უფლებების რეალიზება.

დადებითი მომენტია ისიც, რომ მოწმე ჩვენებას იძლევა სასამართლოზე. აღარ იქნება წინასწარ ნორმად მიღებული მოწმეთა დაკითხვები, რომელსაც დღესაც არაჯანსაღად იყენებს პროკურატურა. ახალი კოდექსით იქნება მხოლოდ გამოკითხვა, რომელიც მტკიცების ძალას მხოლოდ მას შემდეგ შეიძენს, როცა მას დაესწრება მოსამართლე. თუმცა, პროექტი საერთოდ არ ითვალისწინებს დაზარალებულს, რომელსაც არანაირი მოთხოვნის დაყენების უფლება არ ექნება. ამ კონკრეტულ შეთხვევაში პროექტის არსი არის ის, რომ დაზარალებული ჩვეულებრივი მოწმეა და პროკურორი თავისთავად არის დაზარალებულის წარმომადგენელი. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ამ ნორმის სამართლიანი ამუშავება კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

პროექტში არის ერთი სიახლე - შემოდის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. პროექტის ეს ნორმა არაკონსტიტუციური, დისკრიმინაციული ნორმაა, რადგან, ის იმოქმედებს მხოლოდ თბილისის მასშტაბით, მაგრამ რა დააშავა მცხეთელმა, გორელმა ან ქუთაისელმა? ის, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი პირველ ეტაპზე მხოლოდ თბილისში ამოქმედდება, საქართველოს სხვა მოქალაქეებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. პირველივე საქმე, ალბათ, გამოიწვევს იმას, რომ საკონსტუტიციო სასამართლოში სარჩელს შევიტანთ.

ამ ინსტიტუტის ამუშავება დადებითი მხარეა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრაქტიკა საქართველოში არ არსებობს, ამ სასამართლოსადმი პირადად მე, პოზიტიურად ვარ განწყობილი.

დღეს მოქმედ კოდექსშიც იყო რამდენიმე მუხლი, რომლის ამოქმედებაც არკეთილსინდისიერებისა და არაპროფესიონალიზმის გამო ვერ მოხერხდა. ახლაც, არ გამოვრიცხავ, რომ კარგი იდეაც დამახინჯდეს, თუ კეთილსინდისიერად არ ვიმუშავებთ.

ფუნდამენტური კანონი, რომელსაც უნდა სიღრმისეული გააზრება და სჭირდება დრო

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი:

- ახალი საპროცესო კოდექსით გამყარებულია მხარეთა შეჯიბრობითობის პროცესი, სადაც მხარეებს თანაბარი უფლებები გააჩნიათ. მოსამართლე, როგორც ნამდვილი არბიტრი, წარმართავს მხოლოდ კონკრეტული საქმის განხილვის მიმდინარეობას, მისი მოვალეობაა წაიყვანოს პროცესი და მხარეებს მტკიცებულებების წარმოსადგენად თანაბარი საშუალება მისცეს. რაც შეეხება მტკიცებულებების წარმოჩინებას და მათ მიტანას მართლმსაჯულებამდე, ეს უკვე მხარეებზე იქნება დამოკიდებული. სასამართლო მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების შემფასებელი და გადაწყვეტილების მიმღებია. ანუ: დღევანდელი პროცესისგან განსხვავებით, სადაც სასამართლოს გარკვეულწილად ეკისრება ვალდებულება დამატებითი მოქმედებების განსახორციელებლად, ახალი საპროცესო კოდექსის პროექტით, მოსამართლეს არ აქვს უფლება, არ ეკისრება ვალდებულება, რომ შეითავსოს ამა თუ იმ მხარის ფუნქცია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალ ვარიანტთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, ყველას აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი მოსაზრება, მაგრამ ვფიქრობ, დღეს არსებული კანონპროექტი საკმაოდ პროგრესულია - ძალიან ბევრი ევროპული ქვეყნის მოქმედ კოდექსებზე უკეთესია თუნდაც იმით, რომ მხარეებს ობიექტურად თანაბარი შესაძლებლობა ენიჭებათ მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით. მართალია ადვოკატს, პროკურორისგან განსხვავებით, ყველა საგამოძიებო მოქმედების განხორციელების საშუალება არ აქვს, მაგალითად, იგი ვერ განახორციელებს ფარულ საგამოძიებო მოქმედებას, მაგრამ, სამაგიეროდ, დაცვის მხარეს აქვს უფლება გარკვეული მტკიცებულება შემოინახოს, მაშინ, როდესაც ბრალდების მხარე ვალდებულია ყველა მტკიცებულება თავიდანვე წარმოადგინოს.

კანონპროექტის დამტკიცებას თავის დროზე ხელი შეუშალა ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა - არჩევნებმა, საომარმა მოქმედებებმა და ასე შემდეგ, თუმცა მიმაჩნია, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განხილვა და მიღება არ არის მარტივი, რადგან ეს არის ფუნდამენტური კანონი, რომელსაც უნდა სიღრმისეული გააზრება და, ბუნებრივია, სჭირდება დრო.

აღმოსავლეთ აზიაში სტიქია მძვინვარებს

ინდონეზიის კუნძულ სუმატრაზე სამი დღის წინ მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა შესაძლოა ათასებს მიაღწიოს.

ზოგიერთი დასახლება მეწყერის შედეგად მთლიანად განადგურებულია. კავშირი გაწყვეტილია, გზების დიდი ნაწილი ჩახერგილია, რაც ექიმების დაზარალებულებამდე მისვლას აფერხებს. 7,6 ბალის სიმძლავრის მიწისძვრამ სუმატრას სანაპირო ზოლის უდიდესი ნაწილი გაანადგურა.

ამჟამად ინდონეზიაში საერთაშორისო დახმარება ჩადის, თუმცა პადანგაში ცოცხლების პოვნის იმედი თითქმის აღარ არის. ქალაქში 1000 ადამიანზე მეტი დაიღუპა, 3000-დაკარგულად მიიჩნევა.

ინდონეზიაში იმყოფებიან ევროკავშირის, რუსეთის, ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის და სამხრეთ კორეის სამაშველო ჯგუფები. ჯერჯერობით მთელი ძალები პადანგაშია კონცენტრირებული, თუმცა ნანგრევებში მოყოლილ ადამიანთა უმრავლესობის ცოცხლად ამოყვანა თითქმის შეუძლებელი ხდება.

ამასთანავე ვრცელდება ინფორმაცია პადანგადან მოშორებულ რაიონებში საშინელი ნგრევების შესახებ. პადანგას ჩრდილოეთით მდებარე მხოლოდ ორ სოფელში, სულ მცირე, 600 ადამიანი ითვლება დაკარგულად. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის სიტყვებით, სოფელ პულაუ აიკში "სახლები თითქოს მიწამ ჩაყლაპა".

იმავე ინდონეზიის აღმოსავლეთ ნაწილში გუშინ დილასაც მოხდა 6,1 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა. ეპიცენტრი დასალეთ პაპუას პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთით 123 კმ-ზე მდებარეობდა. სპეციალისტების განცხადებით, ინდონეზიის ორ სხვადასხვა ნაწილში ბოლო დღეებში მომხდარი მიწისძვრები ერთმანეთთან არ არ არის კავშირში. დასავლეთ პაპუა და სუმატრა ორ განსხვავებულ ტექტონიკურ ფენებზე მდებარეობს.

სტიქიამ კვლავ შეუტია ფილიპინებს. ქვეყანას ტაიფუნ "კეტსანას" მიერ მიყენებული მსხვერპლი და ზარალი ჯერ ვერ მოუნელებია, გუშინ კი ამ არქიპელაგის ჩრდილოეთ ნაწილს ტაიფუნმა "პარმამ" გადაუარა. "პარმა" ისეთი მძლავრი არ აღმოჩნდა, ქარმა გუშინწინ ღამით ცოტა დაკარგა სიჩქარე - 230 კმ/სთ-დან 175 კმ/სთ-მდე და ყველაზე მეტად დაზარალებული რაიონები, მათ შორის წყალდიდობის შედეგად დატბორილი ქვეყნის დედაქალაქი მანილა, საფუძვლიან განადგურებას გადაურჩა.

"კეტსანამ" ბოლო 40 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი წყალდიდობა გამოიწვია. ქვეყნის ყველა რაიონი წყლით დაიტბორა, მათ შორის ქვეყნის დედაქალაქი მანილაც, რომლის 80 პროცენტი წყალმა დაფარა. წყალდიდობა მეწყერის მიზეზიც გახდა. გზები, ხიდები და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები 25 პროვინციაში დაზიანდა. ფილიპინებმა ოფიციალურად ითხოვა საერთაშორისო დახმრება.

ტაიფუნმა "პარმამ" 16 ადამინი იმსხვერპლა. ქარიშხალი საშიშროების სკალის მიხედვით მეოთხე კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ფილიპინების პოლიციის მონაცემებით, ზოგიერთი ოჯახი, მათ შორის ბავშვები, ღვარცოფის მოვარდნისას საკუთარ სახლებში დაიღუპნენ. ჩრდილეთ რაიონებში ძლიერმა ქარმა სახლებს სახურავები ახადა, ელექტროგადამცემი ბოძები დააზიანა და ხეები წააქცია. ქარიშხალმა ნაწილობრივ გადაიარა, მაგრამ ქვეყნის ხელისუფლება ევაკუირებულ ხალხს აფრთხილებს, საკუთარ სახლებში დაბრუნება არ იჩქარონ. "მე მოვუწოდებ ლტოლვილებს, რომელთაც სურთ დაბრუნება: ძალიან გთხოვთ, დარჩეთ ჩვენს საევაკუაციო ცენტრებში, ვიდრე ზუსტად არ დავადგენთ რა მდგომარეობაშია მანილა ქარიშხლის შემდეგ. ჩვენ ვშიშობთ, რომ ახალი წვიმა ხელს შეუშლის დაზარალებულ რაიონებში მიმდინარე ოპერაციებს, რადგან წყლის დონე კვლავ იზრდება," - განაცხადა ფილიპინების თავდაცვის მინისტრმა ჯილბერტ თეოდორომ.

ამერიკელმა ადმირალმა ტიმოთი კიტინგმა გამოაცხადა, რომ მანილასთან ახლოს დგას ორი ხომალდი სამედიცინო აღჭურვილობით, მათ ბორტებზე იმყოფება ასობით საზღვაო ქვეითი, რომლებიც მზად არიან, დაზარალებულები ნებისმიერი ადგილიდან გამოიყვანონ. ადმირალმა ასევე აღნიშნა, რომ კუნძულ ლუსონის ჩრდილოეთით ძალიან ცუდი ამინდია, მაგრამ მანილას, სავარაუდოდ, დიდი საშიშროება აღარ ემუქრება.

კვირას 4 ოქტომბერს 6,3 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა ინდონეზიიდან საკამოდ დაცილებულ ტაივანზეც მოხდა. ტაივანის ცენტრალური მეტეოსადგურის მონაცემებით, ეპიცენტრი კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროდან 23 კმ- მდებარეობს ში. რყევა ქვეყნის დედაქალაქ ტაიბეიშიც იგრძნობოდა. დაშავებულებისა და ნგრევის მონაცემები შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს. ტაივანი სეისმოლიგიურად აქტიურ ზონაში მდებარეობს. კუნძულზე წლის განმავლობაში მიწისძვრა რამდენჯერმე ხდება. 1999 წელს მომხდარი 7,6-ბალიანი მიწისძვრის შედეგად 2,4 ათასი ადამიანი დაიღუპა.

მოამზადა თამთა კახაძემ

ბანკების სერიული მძარცველი დანაშაულს აღიარებს

ამერიკელმა სამართალდამცველებმა ათობით ბანკის მძარცველს მიაგნეს. 37 წლის ჩად შეფფნერს დაკავებისას სამართალდამცველებისთვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ძებნილის დაკავებაში სამართალდამცველებს ყოფილი კოლეგა დაეხმარა, რომელმაც დამნაშავე ამოიცნო.

ბანკების სერიული ძარცვა ამერიკის რამდენიმე შტატში 2009 წლის მაისიდან აგვისტოს ჩათვლით მოხდა. შეიარაღებული მძრცველი თავს ესხმოდა ბანკის თანამშრომლებს და იარაღის მუქარით მათ აიძულებდა სეიფიდან სოლიდური თანხა გამოეტანათ.

როგორც გაირკვა, ჩად შეფფნერი ადრე სწორედ ბანკების ძარცვისთვის იყო გასამართლებული. ციხიდან გამოსულმა კი ეს საქმიანობა კვლავ გააგრძელა.

"მიუხედავად იმისა, რომ გაძარცვული ბანკების სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერებში სრულად იყო ასახული ძარცვის ფაქტი და თავად დამნაშავეც ყველა ჩანაწერში კარგად ჩანდა, დიდი ხნის განმავლობაში მისი დაკავება შეუძლებელი იყო. მძარცელის დაკავებისთვის დაგეგმილი ყელა სპეცოპერაცია წარუმატებლად მთავრდებოდა, რადგან, ის ყოველთვის ახერხებდა სამართალდამცელებისგან დასხლტომას. ბოლოს, მის კვალს ჩვენი ყოფილი კოლეგის დახმარებით მივაგენით. ყოფილმა პოლიციელმა ძებნილი ჩად შეფფნერი ქუჩაში იცნო. ჩუმად განახორციელა მისი დევნა და დამნაშავის გადაადგილების დეტალები შეგვატყობინა. სწორედ ჩვენი ყოფილი კოლეგის დახმარებით შევძელით ძებნილი მძარცველის ზუსტი ადგილ-სამყოფელის მიგნებას," - აცხადებენ ამერიკელი სამართალდამცველები, რომლებსაც სერიული მძარცველის დაკავების მითითება ჰქონდათ მიცემული.

როგორც გაირკვა, დაკავებულმა ჩად შეფფნერმა წლების წინ მომხდარი სერიული ძარცვაც აღიარა. საუბარია ერთ კვირაში გაძარცულ ხუთ ბანკზე, საიდანაც შეიარაღებულმა მძარცველმა საკმაოდ სოლიდური თანხა გაიტანა.

"ეს საქმე კარგად გამომდის. რაც ვიცი, ვიცი," - განუცხადა სამართალდამცველებს ჩად შეფფნერმა, რომელსც, სრულიად მარტოს, ნიღბის გარეშე, ერთი პისტოლეტის საშუალებით, ბანკებიდან ფული ტომრებით გაჰქონდა.

დეპრესია, ალკოჰოლიზმი და ნარკომანია - ყოფილი სამხედროების დანაშაულების საფუძველი

დიდ ბრიტანეთში სოციოლოგიური კვლევის შედეგები გამოქვეყნდა, რომელიც, როგორც ბრიტანული პრესა წერს, შოკის მომგვრელია.

კვლევების თანახმად, გასამართლებულთა 10 პროცენტი ყოფილი სამხედროა. როგორც გაირკვა, ციხის კედლებში მყოფ მსჯავრდებულთაგან 8,5 პროცენტი სწორდ ყოფილი სამხედრო მოსამსახურეა. გარდა ამისა, სოციოლოგიური კვლევების შედეგად გაირკვა ისიც, რომ უკვე გათავისუფლებულთა და სასჯელმოხდილთა სიაში 12 ათასი ყოფილი სამხედრო მოსამსახურე მოხვდა. ექსპერტები, რომლებმაც ეს სოციოლოგიური კვლევები ჩაატარეს, მათ შედეგებს სამარცხვინოდ მიიჩნევენ. მათივე დასკვნით, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების მიერ ჩადენილი დანაშაულების ძირითადი მიზეზი დეპრესიაა.

"დეპრესიიდან გამოსავალს სამხედრო მოსამსახურეები ნარკოტიკსა და ალკოჰოლში ხედავენ. ისინი ჩვეულებრივი კრიმინალები ხდებიან," - ნათქვამია სოციოლოგიური კვლევის შდეეგებში. ამავე კვლევის თანახმად, ყოველი მესამე სამხედრო მოსამსახურე ქრონიკული ალკოჰოლზმით იტანჯება, ყოველი მეათე კი ნარკომანია. ამავე კვლევის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები მართლმსაჯულების წინაშე ოჯახში ჩადენილი ძალადობის გამო ხვდებიან.

გამოკვლევების დროს ნათელი გახდა, რომ ყოფილი სამხედროები ძირითადად უჩივიან პოსტტრავმულ სინდრომებს. რაც მთავარია, მათთვის ძნელია დიაგნოზის დასმა და ამდენად, ამა თუ იმ მკურნალობას ძნელად ექვემდებარებიან. მათი ძირითადი პრობლემა დეპრესია და ფსიქოლოგიური გადაძაბვაა.

"სამარცხვინოა ფაქტი, რომ ის ადამიანები, ვინც ქვეყნისთვის იბრძოდნენ, სხვადასხვა სასჯელებით ციხის კედლებში იმყოფებიან. კანონზე მაღლა არავინ დგას. ყველამ პასუხი უნდა აგოს ჩადენილ დანაშაულზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ის ფაქტიც, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ სათანადო თანადგომა ვერ გაუწია სამხედროებს, რომლებიც დაძაბული მუშაობის შემდეგ ოჯახებში დაბრუნდნენ," - აცხადებს დიდი ბრიტანეთის იუსტიციის მინისტრი.

ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე საუბრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. როგორც გაირკვა, ციხეებსა და წინასწარი დაკავების იზოლატორებში მყოფ პატიმარა საკმაოდ დიდი პროცენტი სწორედ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეები არიან.

ირანი ურანის უცხოეთში გამდიდრებაზე თანხმდება

ივა ჭილაკავა

"ექვსეულის" (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი, გერმანია) და ირანის წარმომადგენლების შეხვედრა ჟენევაში, რომლის დროსაც ურთიერთობების ნორმალიზაციისა და, რაც მთავარია, ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი განიხილებოდა, შეიძლება ითქვას, წარმატებით დამთავრდა. ეს არის მოლაპარაკებების პირველი რაუნდი თითქმის წელიწადნახევრიანი იძულებითი შესვენების შემდეგ და დაძაბული ურთიერთობებიდან გამომდინარე დასავლეთს არ ჰქონდა დიდი იმედი, რომ ჟენევის შეხვედრაზე წინსვლა სწრაფად მოხერხდებოდა. მიუხედავად ამისა, შეხვედრის პირველივე დღეს ირანი დათანხმდა ინსპექტორების შეშვებას თავის მშენებარე ობიექტზე - ურანის გამამდიდრებელ ქარხანაში ქალაქ კუმთან ახლოს (ამაზე უკვე წერდა "24 საათი").

შეხვედრის მთავარი ორგანიზატორის, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს კომისარ ხავიერ სოლანას განცხადებით, პარასკევს ირანი დათანხმდა, თავისი ურანი გასამდიდრებლად სხვა ქვეყნებში გააგზავნოს. მხარეები ამ ოპერაციის მთელ სქემას ჯერჯერობით ოფიციალურად არ ადასტურებენ, მაგრამ ურანის გამდიდრება, სავარაუდოდ, რუსეთში მოხდება, სადაც ამისთვის თავისუფალი სამრეწველო სიმძლავრეებია, მაგატეს ექსპერტები საბოლოო შემოწმებას საფრანგეთში ჩაატარებენ, რის შემდეგაც ირანს გამდიდრებული ურანი უკან დაუბრუნდება. ურანის ამჟამინდელი მარაგის ამოწურვის შემდეგ ირანი მას უცხოეთში, სავარაუდოდ, საფრანგეთში შეისყიდის.

დღეს ირანს ურანის გამდიდება 4 პროცენტამდე შეუძლია. ატომურ ელექტროსადგურებში საწვავად გამოყენებისთვის საჭიროა ურანი 19,75 პროცენტამდე იყოს გამდიდრებული. 20 პროცენტზე მეტად გამდიდრებულ ურანს უკვე სამხედრო დანიშნულება აქვს. მსოფლიო საზოგადოების მოთხოვნაც სწორედ ის არის, რომ ირანს საკუთარ ქვეყანაში არ ჰქონდეს ურანის გამამდიდრებელი სრული ციკლი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვეღარ მოხერხდება იმის გაკონტროლება, თუ რისთვის იყენებს ეს სახელმწიფო ურანს.

აღნიშნული სქემა არ არის ბოლომდე დამუშავებული და შეთანხმებული, ამიტომ მხარეები ოფიციალური განცხადების გაკეთებას ერიდებიან. შემდეგი შეხვედრა საკმაოდ მალე, 18 ოქტომბერს უნდა გაიმართოს, სავარაუდოდ - ვენაში. ამასობაში ისიც გაირკვევა, რამდენად გულწრფელია ირანის ხელისუფლება. კუმთან მშენებარე ქარხნის ინსპექტირება ორი კვირის ვადაში უნდა განხორციელდეს.

ჟენევაში ამერიკისა ირანის წარმომადგენლებს შორის 30 წლის განმავლობაში პირველი ორმხრივი შეხვედრა შედგა. ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უალიამ ბერნსი დახურულ კარს მიღმა ესაუბრა ირანის მთავარ წარმომადგენელს ბირთვულ საკითხებში საიდ ჯალილის.

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ირანის „კეთილი ნება“ განაპირობა, ძირითადად, ექვსეულის შეთანხმებულმა პოზიციებმა ანუ იმან, რომ მოსკოვი და პეკინი - ირანის მთავარი დამცველები - ამჯერად არ ეწინააღმდეგებიან დასავლეთის ქვეყნების მკაცრ პოზიციას.

ირლანდია ევროკავშირის რეფორმირებას მხარს უჭერს

მარიკა იაშვილი

ირლანდია ლისაბონის შეთანხმების მომხრეა. ქვეყნის ელექტორატმა მეორე მცდელობით დაუჭირა მხარი დოკუმენტის მიღებას, რომელიც ევროკავშირის რეფორმირებას ითვალისწინებს.

შეთანხმება მხოლოდ მას შემდეგ შევა ძალაში, რაც მისი რატიფიკაცია ევროკავშრის წევრი 27-ვე ქვეყნის მიერ მოხდება. ამავდროულად, ირლანდია ერთადერთი ქვეყანაა, რომლის კონსტიტუციაც მსგავს შემთხვევაში რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს. წელიწადნახევრის წინ ამ ქვეყნის ამომრჩევლებმა შეთანხმება დაბლოკეს.

ლისაბონის ხელშეკრულების მიზანია ევროკავშირის ადაპტაცია ახალ რეალიებთან. იგულისხმება შესაბამისობა იმ მასშტაბებთან, რასაც ორგანიზაციამ ბოლო წლების მანძილზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეერთების შემდეგ მიაღწია. შეთანხმების მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ დოკუმენტი ევროკავშირის ხელმძღვანელობის ფედერაციულ განწყობას გამოხატავს და ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სუვერენიტეტისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

კამერონმა დაადასტურა, რომ თუ მომავალ საყოველთაო არჩევნებზე მისი პარტია გაიმარჯვებს, ის აუცილებლად მოუწოდებს ბრიტანელებს, ხმა ლისაბონის ხელშეკრულების წინააღმდეგ მისცენ.

ირლანდიელების მიერ ლისაბონის შეთანხმებაის უარყოფიდან 18 თვის შემდეგ ქვეყანაში დოკუმენტის მხარდამჭერთა ერთგვარი ბანაკი ჩამოყალიბდა, რომელშიც, ნაციონალური პარტიის გარდა, ქვეყნის თითქმის ყველა დიდი პარტია და ირლანდიური საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლები გაერთიანდნენ. ისინი ამომრჩევლებს არწმუნებდნენ, რომ ლისაბონის ხელშეკრულების კიდევ ერთხელ უარყოფის შემთხვევაში ქვეყანა პოლიტიკურად ევროპისგან გარიყული აღმოჩნდებოდა.

ასეთი აგიტაციის ნაყოფიერება ჯერ კიდევ რეფერენდუმის ოფიციალური შედეგების გამოცხადებამდე, ამომრჩეველთა გამოკითხვის შედეგად გამოჩნდა. ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, დოკუმენტის რატიფიკაციას ირლანდიელთა 60 პროცენტმა მისცა ხმა.

სასურველ შედეგს ელოდნენ პოლიტიკოსებიც, რომელთა პროგნოზით, მეორე რეფერენდუმზე ხალხი დოკუმენტს მხარს დაუჭერდა. ირლანდიელებს არჩევანის გაკეთება ევროკომისიის ლიდერმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ უკვე მიულოცა.

ირლანდიაში სულ 3 მილიონი ამომრჩეველია რეგისტრირებული. რეფერენდუმზე ამომრჩეველთა აქტივობამ დუბლინში 44 პროცენტი შეადგინა, მაშინ როდესაც რეგიონებში ამ მაჩვენებელმა 10 პროცენტს ვერ გადააჭარბა.

ირლანდიის რესპუბლიკის ხელისუფლება განმეორებითი რეფერენდუმის ჩატარებას მას შემდეგ დათანხმდა, რაც მიიღო გარანტია, რომ შესრულდებოდა მისი მოთხოვნები ყველა იმ პრობლემური საკითხის შესახებ, რომელთა გამოც ირლანდიელებმა პირველ რეფერენდუმზე დოკუმენტის საწინააღმდეგოდ მისცეს ხმა. კონკრეტულად კი ეს არის სამხედრო ნეიტრალიტეტის, აბორტებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და გადასახადების დარიცხვის საკითხები.

ლისაბონის ხელშეკრულებას მხარს უჭერდა ქვეყნის ყველა მსხვილი პოლიტიკური პარტია, ნაციონალური შინ ფეინის გარდა, რომელსაც მიაჩნია, რომ იმ შეთხვევაში, თუ ამ დოკუმენტს არ მიიღებს, ევროკავშირი უფრო დემოკრატიული ორგანიზაცია გახდება.

ირლანდიაში ჩატარებულ რეფერენდუმს დიდი ბრიტანეთის „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი გორდონ ბრაუნი გამოეხმაურა. მან რეფერენდუმის შედეგს დადებითი შეფასება მისცა და "ბრიტანეთისა და ევროპისთვის პოზიტიური" უწოდა.

ამავე დროს „ლეიბორისტთა“ ოპონენტი „კონსერვატორული პარტიის“ ლიდერი დევიდ კამერონი გამოვიდა მოწოდებით, რომ ბრიტანეთის მოსახლეობას ლისაბონის ხელშეკრულების შესახებ თავისი აზრის გამოხატვის საშუალება მიეცეს და ამ მიზნით ქვეყანაში რეფერენდუმი ჩატარდეს. „კონსერვატორთა“ ლიდერის განცხადებით, ირლანდიელებმა ორჯერ მისცეს ხმა ლისაბონის შეთანხმებას, ბრიტანელებს კი ასეთი შანის ერთხელაც არ ჰქონიათ. ამიტომ კამერონი რეფერენდუმის ჩატარებას სამართლიანად მიიჩნევს.

ამგვარად ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნიდან მხოლოდ ორს - პოლონეთსა და ჩეხეთს ჯერ კიდევ არ დაუჭერიათ მხარი ლისაბონის შეთანხმებისთვის, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად, ევროკავშირის პრეზიდენტის პოსტის შექმნასაც ითვალისწინებს. ორგანიზაციის ლიდერს ძველი საბჭოს ხელმძღვანელები თავისი ამჟამინდელი ან ძველი კოლეგებიდან აირჩევენ, ანუ იმ ადამიანებიდან, რომლებიც ხელმძღვანელობენ ან ადრე ხელმძღვანელობდნენ რომელიმე ევროპული სახელმწიფოს ან მთავრობას.

ამ დროისთვის ჯერ კიდევ გამოუცხადებელი საპრეზიდენტო მარათონის ფავორიტად დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი მიიჩნევა, რომელიც ამ დროისთვის ახლო აღმოსავლეთში სპეციალურ წარმომადგენელად მუშაობს. თუმცა, ექსპერტთა აზრით, მას საკმაოდ ბევრი კონკურენტი ჰყავს, მათ შორის ერთ-ერთია ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრი იან-პეტერ ბალკენენდე. გამორიცხული არ არის, მის კანდიდატურას მხარი დაუჭიროს გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა, რომლის ხმაც შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

2007 წელს შექმნილი ლისაბონის შეთანხმება ერთიანი ევროპული კონსტიტუციის როლს შეასრულებს. ირლანდიის, ჩეხეთისა და პოლონეთის გარდა, დოკუმენტს ევროკავშირის დანარჩენმა 24-ვე წევრმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. პოლონეთისა და ჩეხეთის პრეზიდენტების განცხადებით, ისინი ლისაბონის შეთანხმების რატიფიკაციას მას შემდეგ დათანხმდებიან, რაც დოკუმენტს ირლანდია მიიღებს. შეთანხმების რატიფიკაციას გერმანიაც დიდი ხნის განმავლობაში აყოვნებდა, თუმცა 2009 წლის სექტემბერში ქვეყნის ხელისუფლებამ დოკუმენტს მაინც მოაწერა ხელი.

ლისაბონის შეთანხმება, რომელსაც თავდაპირველად "შეთანხმება რეფორმის შესახებ" ერქვა, საგანგებოდ შეიქმნა, რათა შეეცვალა ევროპის კონსტიტუცია - მას შემდეგ რაც ეს უკანასკნელი 2005 წელს საფრანგეთისა და ნიდერლანდების რეფერენდუმებზე ჩავარდა. თუმცა დოკუმენტები ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავდება. ძირითადი სხვაობა ის არის, რომ კონსტიტუციას დღემდე გაფორმებული ყველა აქტი და ხელშეკრულება უნდა ჩაენაცვლებინა, ხოლო ლისაბონის შეთანხმება მხოლოდ ავსებს მათ. გარდა ამისა, მასში არ არის შესული რიგი საკამათო პუნქტებისა, მათ შორის ევროკავშირის დროშისა და ჰიმნის შესახებ.

რევიუ

ტრადიციები გრძელდება

მარინა ქავთარაძე
მუსიკათმცოდნე

1 ოქტომბერს კონსერვატორიის ფასადზე აფრიალდა ცამეტი სახელმწიფოს დროშა, ნიშნად იმისა, რომ დაიწყო, აწ უკვე ტრადიციული, პიანისტთა თბილისის მეოთხე საერთაშორისო კონკურსი.

ცოტა რამ კონკურსის ისტორიიდან

კონკურსის იდეა ისეთივე ძველია, როგორც თავად სამყარო. ესთეტიკური სიამოვნებისა და ზნეობრივი განწმენდის დანიშნულებასთან ერთად ხელოვნებას უხსოვარი დროიდან თან ახლდა პაექრობის იდეაც; კონკურსის პირველი სახეობაც ჩვ. წ-მდე VI საუკუნეში გაჩნდა დელფიური თამაშების სახით საბერძნეთში: ტერმინი "ლაურეატიც", რომლის მოპოვების სურვილმაც დღეს მასობრივი ხასიათი მიიღო, რომის იმპერიაში წარმოიშვა. მას შემდეგ კაცობრიობა შეჯიბრის ნაირგვარ ფორმებს ეძებდა. ამგვარი პაექრობის მიზანი იყო ადამიანის ჰარმონიული სრულყოფისკენ სწრაფვის ხორცშესხმას დღესასწაულის სახე მისცემოდა. ამ თვალსაზრისით, მუსიკალურმა სამყარომ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება მხოლოდ მე-19 საუკუნეში შეძლო - ანტონ რუბინშტეინის მიერ 1886 წელს საფუძველი ჩაეყარა პირველ რეგულარულ საერთაშორისო კონკურსს. მას აქეთ საუკუნეზე მეტმა განვლო, რომლის მანძილზე არა ერთი მნიშვნელოვანი კონკურსი დაფუძნდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში კი მსოფლიო ჭეშმარიტად საკონკურსო "ბუმმა" მოიცვა.

საკუთრივ საქართველოში, "საკონკურსო მოძრაობას" შედარებით ხანმოკლე ისტორია გააჩნია. მისი სულისჩამდგმელია თბილისის კონსერვატორის რექტორი, პიანისტი, პროფესორი მანანა დოიჯაშვილი, რომლის ძალისხმევა შეიძლება დარჩენილიყო "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", რომ არა მხარდაჭერა სახელმწიფოებრივ დონეზე. სამთავრობო და მუსიკალურ-პროფესიული ძალების გაერთიანების პირობებში იშვა პირველი ეროვნული (1995) და საერთაშორისო კონკურსიც (1997), რომლის საორგანიზაციო და პროფესიულ-საშემსრულებლო დონემ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა თვით კონკურსებისადმი სკეპტიკურად განწყობილთა მხრიდანაც.

დღევანდელი საკონცერტო ცხოვრების მრავალფეროვანი პალიტრა უკვე წარმოუდგენელია მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსების გარეშე, რომელთა მიზანია გამოავლინოს ნიჭიერი ახალგაზრდები, მათი შემოქმედებითი პოტენციალი, ახალი პერსპექტივები დაუსახოს და შეუქმნას ის პირობები, რომელიც აუცილებელია მათი წინსვლისთვის.

გაგრძელება A10 გვერდზე

მოყვარულის ისტორიული აღმოჩენა

პროფესიონალ არქეოლოგებს საქმეში მოყვარულებიც ეჯიბრებიან. შავი არქეოლოგიის მიმდევრებისგან განსხვავებით, ისინი უფრო კეთილსინდისიერად იქცევიან და თუ ბედმა გაუღიმათ და რაიმეს მიაგნეს, საქმის კურსში სპეციალისტებს აყენებენ. მართალია, არქეოლოგიით გატაცებულნი ყველაზე უკეთ და ოსტატურად მაინც ლითონმაძიებელს იყენებენ, მაგრამ ამ ხელსაწყოს დახმარებით მიწების კილომეტრობით "დათვალიერება" და "შესწავლა" არასოდეს ეზარებათ. ამის მაგალითია ახლახანს ერთი მოყვარულის მიერ აღმოჩენილი მონაპოვარი, რომელმაც უკვე საყოვეთაო გამოხმაურება გამოიწვია და საზოგადოებას მონაპოვარის დათვალიერების საშუალება საგანგებოდ ამ განძეულის წარმოსაჩენად გახსნის საიტზე (მისამართია www.staffordshirehoard.org.uk) მიეცა.

უფრო კონკრეტულად კი, საქმე ეხება სტაფორდშირის საგრაფოს უმუშევარ მაცხოვრებელს, რომელმაც ლითონმაძიებლის დახმარებით ისტორიაში უდიდეს ანგლოსაქსონურ საუნჯეს მიაგნო. ამის შესახებ ინფორმაცია 24 სექტემბერს Sky News-მა გაავრცელა. აღმოჩენამ სტაფორდშირის საგანძურის სახელი მიიღო.

ტერი ჰერბერტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სამოყვარულო განძისმაძიებლობით 18 წლიდან არის გატაცებული. 2009 წლის ივლისში მან მეზობლისგან მისი კუთვნილი მიწის გამოკვლევის უფლება მიიღო. ნანატრ საუნჯეს მან ძალიან მალე, ხუთდღიანი ძიების შემდეგ მიაგნო.

სპეციალისტების ნათქვამზე დაყრდნობით, მიწის ქვეშ 1,5 ათას ნივთზე მეტი იყო. ისინი ეკუთვნოდა ანგლო-საქსონურ ელიტას, მათ შორის, იარაღისა და თავის მორთულობის ფრაგმენტები, ასევე, ჭურჭელი და სამკაული. საგანძურისადმი მიძღვნილ საიტზე აღნიშნულია, რომ მოპოვებული ნივთების უმრავლესობა, სავარაუდოდ, VII საუკუნით თარიღდება. თუმცა, საუნჯის ასაკთან დაკავშირებით არქეოლოგების მოსაზრებები ერთსულოვანი არ არის და როგორც ვარაუდობენ, მათი დათარიღება, შესაძლოა, მოცემულზე ადრეული აღმოჩნდეს.

მონაპოვარის შეფასების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. საგანძურის მნიშვნელობის შესწავლაზე პროფესიონალები მუშაობენ. აღმოჩენილის მეცნიერული ანალიზი მათთვის ორმაგად საინტერესოა - ჯერ ერთი იმიტომ, რომ ღირებულების თვალსაზრისით მართლაც ძვირფას საგანძურთან აქვთ საქმე და კიდევ, ანგლო-საქსონური საუნჯის ნიმუშებზე იშვიათად მიუწვდებათ ხელი. ამდენად სპეციალისტები გამოკვლევის შედეგების გამოსაცხადებლად არ ჩქარობენ. ისინი დარწმუნებით ჯერ მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ მონაპოვარი 2,5 კილოგრამ ვერცხლს (სხვა მონაცემებზე დაყრდნობით - 1,3 კილოგრამს) და დაახლოებით, 5 კილოგრამ ოქროს შეიცავს.

მოყვარულ არქეოლოგს რაც შეეხება, ტერი ჰერბერტი, მიწის პატრონთან ერთად, ჯილდოს მას შემდეგ მიიღებს, რაც საგანძურის შეფასების პროცესი დასრულდება და მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გამოცხადდება.



ტარიფი არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს.

ტრადიციები გრძელდება

ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲬᲘᲐᲜ

ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ყველაზე მძიმე წლებში კონკურსის დაფუძნება და შემდგომ მისი მაღალი დონის შენარჩუნება, გმირობის ტოლფასი იყო. ის ქართული საფორტეპიანო სკოლის უმდიდრესი ტრადიციებიდან ამოიზარდა და დღიდან დაარსებისა ჩვენი კულტურის მსოფლიო თანამეგობრობაში ინტეგრაციის, ჭეშმარიტი ნიჭიერების დღესასწაულის სიმბოლოდ იქცა. 1997 წელს საერთაშორსო კონკურსების ლაურეატთა რიგებს 6 ახალი სახელი - პიანისტთა თბილისის პირველი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი შეემატა.

ასე დაიბადა კონკურსი, რომელსაც ახლა უკვე თავისი ისტორია აქვს და, რაც მთავარია, საკუთარი ტრადიციებით ამაყობს. მისი დამფუძნებლები არიან თბილისის მერია, საქართველოს კულტურის სამინისტრო და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. კონკურსი ტარდება 4 წელიწადში ერთხელ საქართველოს პრეზიდენტის პატრონატით. პირველი კონკურსი გაიხსნა ამ მოვლენისათვის საგანგებოდ განახლებულ და აღდგენილ კონსერვატორიის დიდ დარბაზში და მთელი მუსიკალური საზოგადოების ნამდვილ ზეიმად იქცა. ჩვენი საზოგადოების მოლოდინი და ინტერესიც ამ მოვლენის მიმართ მზარდი იყო. მეორე კონკურსის ჩატარების შემდეგ 2002 წელს თბილისის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსმა მოიპოვა ჟენევის მსოფლიო საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების ფედერაციის წევრობა, რაც ძალზედ საპატიო, საპასუხისმგებლო და მისი მაღალი დონის დამადასტურებელი გახდა; კონკურსი აკმაყოფილებდა ყველა იმ სტანდარტს, რომელსაც მსოფლიო ფედერაცია უყენებდა საერთაშორისო კონკურსებს. 2005 წელს III კონკურსმა უკვე ჩვეულ "რეჟიმში", საერთაშორისო კონკურსების ფედერაციის წევრი-კონკურსის საამაყო სტატუსით ჩაიარა. 2008 წელს თბილისში ჩატარდა მსოფლიო საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების ფედერაციის ასამბლეა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა თბილისის კონკურსს და მის საორგანიზაციო მუშაობას.. წელს პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსი არჩეულ იქნა ფედერაციის კომიტეტში, რაც მის მმართველობაში მონაწილეობას გულისხმობს და უდავოდ დიდი პატივია.

ვინ იქნება თბილისის IV საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული?

კონკურსზე შემოვიდა 140-მდე განაცხადი 18 ქვეყნიდან. შესარჩევი აუდიო მოსმენის შემდეგ კონკურსზე დაშვებულ იქნა 43 მონაწილე მსოფლიოს 15 ქვეყნიდან. 1 ოქტომბერს დილით ჩატარებულ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31 მონაწილემ 13 ქვეყნიდან (დიდი ბრიტანეთი, ეკვადორი, ესპანეთი, ისრაელი, იტალია, ნიდერლანდები, პერუ, პოლონეთი, რუსეთი, სამხ. კორეა, საქართველო, უკრაინა, ჩინეთი), რომელთაგან 12 ქართველია: გიორგი აბულაძე, ნინო ბაქრაძე, ნათია ბერაია, მარიკა გელაშვილი, თამარ ელიზბარაშვილი, ალექსანდრე ვასაძე, თინათინ კიკნაძე, გიორგი მიქაძე, ვახტანგ ჟორდანია, ანა ღლიღვაშვილი, ქეთევან ჩხარტიშვილი. ქართული საფორტეპიანო სკოლა სერიოზულად მომზადებული ხვდება წლევანდელ კონკურსს, რომელსაც წინ უძღოდა პედაგოგების და მათი მოსწავლეების თავდადებული ყოველდღიური შრომა, კონცერტები....

წინ კი ურთულესი ოთხი ტურია, საკონკურსო მარათონითა და ციებ-ცხელებით, ვნებათაღელვით. ბუნებრივია ის მზარდი ინტერესიც, რომელიც მსმენელს აქვს კონკურსის მიმართ. იქნებ ეხლა მაინც გაგვიმართლოს და გრან-პრი თბილისში დარჩეს?! სჩანს, წლევანდელი კონკურსი განსაკუთრებით რთული იქნება -მონაწილეთა შორის ძლიერმა კონკურენტებმა მოიყარეს თავი - ყველა ლაურეატია; მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა ისინი სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული კონკურსის გამარჯვებულები არიან; ამასთანავე ყოველ მათგანს საკონცერტო გამოსვლების დიდი გამოცდილება აქვს. კონკურსის I ტურის გახსნის პატივი კი ქართველ შემსრულებელს, კენჭისყრაში N1-ნინო ბაქრაძეს ერგო.

კონკურსის იმიჯს არა მარტო ნიჭიერი მონაწილეები განსაზღვრავენ, არამედ ის ავტორიტეტული ჟიურიც, რომელიც მათ აფასებს. მისი მთავარი ამოცანაა იყოს სამართლიანი, ობიექტური და გამოავლინოს საუკეთესო. კონკურსის დებულების თანახმად, სწორედ ობიექტურობის დაცვის მიზნით, ჟიურის წევრებს არ აქვთ უფლება კონკურსზე თავისი მოსწავლეები წარმოადგინონ. წლევანდელი ჟიურის შემადგენლობაში შედის 9 ქვეყნის 13 სახელოვანი პიანისტი: პარიზის კონსერვატორიისა და კიოტოს აკადემიის პროფესორი ოლივიე გარდონი (საფრანგეთი), ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი პიანისტი პიტერ დონოჰიუ (დიდი ბრიტანეთი), როტერდამის კონსერვატორიის პროფესორი, ლეგენდარული კლაუდიო არაუს მოსწავლე - აქილეს დელ ვინიე (არგენტინა), სახელგანთქმული მუსიკის კრიტიკოსი პიტერ კოსე (ავსტრია), თელავივის უნივერსიტეტის ბუხმან-მეტას მუსიკალური სკოლის პროფესორი, სახელოვანი პიანისტი - ემანუელ კრასოვსკი (ისრაელი), რომის სანტა ჩეჩილიას აკადემიის პროფესორი, ყველასთვის ცნობილი პიანისტი და პედაგოგი - სერჯიო პერტიკაროლი (იტალია), მსოფლიოში ერთ-ერთი სახელგანთქმული კონკურსის - UNISA-ს მუსიკალური ფონდის დირექტორი და მისი მუდმივი წევრი - ჯონ რუსი (სამხრეთ აფრიკა), გამოჩენილი ამერიკელი პიანისტი და პედაგოგი - სიუზან სტარი (აშშ), ჩინეთის მუსიკოსთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, თავის სამშობლოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიანისტი ბაო ქვიჩაო (ჩინეთი), დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი სახელგანთქმული პედაგოგი და პიანისტი, პროფესორი - ფილიპ ჯენკინსი (დიდი ბრიტანეთი). ქართულ საშემსრულებლო სკოლას ჟიურიში წარმოადგენენ ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, შესანიშნავი პიანისტი, ბოსტონის ნიუ-ინგლენდის კონსერვატორიის პროფესორი - ალექსანდრე კორსანტია, ამჟამად ესპანეთში მოღვაწე - ნინო კერესელიძე და მანანა დოიჯაშვილი, რომელიც მუსიკოსთა ამ ბრწყინვალე თანავარსკვლავედს თავმჯდომარეობს.

ტრადიციულად, პიანისტთა თბილისის მეოთხე საერთაშორისო კონკურსს წელს საზღვარგარეთიდან რამდენიმე საპატიო სტუმარი ეწვია. მათ შორის არიან: ცნობილი პიანისტი და პედაგოგი, ჟენევის საერთაშორისო კონკურსის პირველი პრიზის მფლობელი ჟან-პოლ სევილა (საფრანგეთი); სიდნეის პიანისტთა კონკურსის უცვლელი დირექტორი და ორგანიზატორი - უორენ ტომსონი (ავსტრალია); სახელგანთქმული მუსიკის კრიტიკოსები - იოკო ცუნეკავა იაპონიიდან და ბელგიის რადიოსა და ტელევიზიის უფროსი პროდიუსერი - მარკ კასტელანი; პიანისტი და პროდიუსერი, კასაგრანდეს პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის წარმომადგენელი - ანაროზა ტადეი (იტალია); მუსიკის კრიტიკოსი და რადიო-კომენტატორი მაიკლ ჩერჩი (დიდი ბრიტანეთი); არტურ რუბინშტეინის საერთაშორისო მუსიკალური საზოგადოების დირექტორი - იდით ცვი (ისრაელი); რედაქტორი და გამომცემელი, არტურ რუბინშტეინის საერთაშორისო მუსიკალური ფონდის დამფუძნებელი - ვოიცეხ გროჩოვალსკი (პოლონეთი). სამწუხაროდ, წელს ვერ ჩამოვიდა ნიუ-პორტის ფესტივალის დირექტორი, თბილისის "საპატიო მოქალაქე", ქართველების დიდი მეგობარი მარკ მალკოვიჩ III (აშშ), რომელიც სხვადასხვა სტატუსით თბილისის ყველა კონკურსს ესწრებოდა. მისი ცნობილი ფრაზა "ნიჭიერება თქვენთან გამონაკლისი არ არის, ნიჭიერება ქართველთა ხვედრიაო", დღესაც სიამაყით აღავსებთ ქართველ მუსიკოსებს.

რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია

ნებისმიერი ტრადიციის გაგრძელებას ახალი ნიჭი და ძალები სჭირდება; ნიჭის ხელშეწყობა კი დიდი ხელოვნებაა და მრავალმხრივ მიდგომას საჭიროებს.

ჩამოსულ მუსიკოსთა მიერ კონსერვატორიის სტუდენტებთან პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსის ფორმატის ფარგლებში მასტერკლასების ჩატარება, უკვე ტრადიციად იქცა. გავრცობას არ მოითხოვს აზრი იმის შესახებ, თუ რა დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე სახელგანთქმული პიანისტების ღია გაკვეთილებს პიანიზმის პრობლემებით დაინტერესებული ახალგაზრდა მუსიკოსების და პედაგოგებისათვის. წინა კონკურსების დროს ჩატარებული ელისო ვირსალაძის, დიმიტრი ბაშკიროვის, დიმიტრი ალექსეევისა და ოლეგ მაიზენბერგის, გიუნტერ შიულერის და სხვა სახელოვან მუსიკოსთა მასტერკლასები დაუვიწყარ მოგონებად დარჩა.

გარდა საკუთრივ კონკურსანტებისადმი ცხოველი ინტერესისა, ბუნებრივია ის ინტერესიც, რომელიც წლევანდელი საერთაშორისო კონკურსის პროგრამით დაგეგმილი მასტერკლასების მიმართ იქნება. ჭეშმარიტი პროფესიონალების მასტერკლასებს ხომ შემეცნებით ღირებულებასთან ერთად, ემოციური ტკბობის ბედნიერი განცდა მოსდევს; 8 ოქტომბერს კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჟიურის წევრები - სერჯიო პერტიკაროლი, ჩაიკოვსკის კონკურსის ლაურეატი სიუზან სტარი და საპატიო სტუმარი - ჟან-პოლ სევილა მასტერკლასებს ჩაუტარებენ თბილისის კონსერვატორიის სტუდენტებს.

მოგეხსენებათ, კონკურსის ჩატარება სერიოზულ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს. წელს ეკონომიკური კრიზისის პირობებში მსოფლიოში ბევრი საერთაშორისო კონკურსი გადაიდო. ჩვენს დროში, "საბაზრო ეკონომიკის" პირობებში ჩამოყალიბებული მენტალიტეტის მქონე საზოგადოება, პირველ რიგში ელის პასუხს კითხვაზე - რას მოგვცემს კონკურსი?

იმას, რომ მუსიკა მშვიდობის დესპანია და კონკურსი ერთა კულტურათაშორისი დიალოგის საუკეთესო საშუალებაა; იმას, რომ კონკურსმა, რომელიც თბილისის სახელს ატარებს და მისი სავიზიტო ბარათია, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და ნიჭიერ ახალგაზრდებს, მათ შორის ქართველებს, ფართო ასპარეზზე გასვლის საშუალება მისცა; იმას, რომ კონკურსი სტიმულს და საუკეთესო პროფესიულ ძალთა მობილიზების საშუალებას იძლევა; ყოველივე ამისათვის გააქტიურდა სამთავრობო და კერძო სტრუქტურები, რამაც გასულ წლებში შესაძლებელი გახადა კონსერვატორიის ისტორიული შენობის, მისი დარბაზების, მათ შორის, "ქართუს" მიერ საუკუნოვანი ისტორიის მქონე მცირე დარბაზის რესტავრაცია, "STANWAYS" ფირმის ახალი როიალების შეძენა და სხვ.

პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსი გახდა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების თანამშრომლობის იდეალური მოდელი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა თავისი ქმედითუნარიანობა. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანა კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა და საპატიო კომიტეტმაც - საქართველოში აკრედიტირებულმა უცხოეთის ქვეყნების ელჩებმა: ჯონ ტეფტმა და ჯონ ბასმა (აშშ), პატრიცია ფლორმა (გფრ), ტომას ლუკიმ (ესტონეთი), ურსულა დოროშევსკამ (პოლონეთი), ერიკ ფურნიემ (საფრანგეთი), ივან ჯესტრაბმა (ჩეხეთი), ვიტორიო სანდალიმ (იტალია).

წლევანდელი კონკურსის გენერალური სპონსორია - კომპანია "მაგთი"; ხოლო მხარდამჭერები არიან: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სასტუმროები: "კოპალა", "ქორთიარდ მარიოტი", კომპანია "Ernst & Young"-I; ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სახლ-მუზეუმი, "კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაცია"; კორპორაცია BAGEBEY CITY GROUP-ი; კომპანია OUTDOOR.GE-ი; გაზეთი "24 საათი"; საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობა; საქართველოს საპატრიარქოს რადიო "ივერია"; რადიო "მუზა"; "მიკრო სტუდია"; საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა დახმარების ფონდი "Solo"; საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი "რუსთავი"; ანსამბლი "ბასიანი"; "ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა ეროვნული კონკურსი"; საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი; თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი და კერძო პირები.

ნებისმიერი კონკურსის "მიმზიდველობა" და პრესტიჟულობა განისაზღვრება არა მარტო მონაწილეთა და ჟიურის წევრთა მაღალი დონით, არამედ საპრემიო ფონდით, სპეციალური პრიზებით და ანგაჟემენტებით. გამარჯვებულთათვის თბილისის კონკურსს საკმაოდ სოლიდური საპრემიო ფონდი, სპეციალური ჯილდოები და ნაირგვარი საკონცერტო ანგაჟემენტები აქვს დაწესებული.

პიანისტთა თბილისის პირველი საერთაშორისო კონკურსის პირობების თანახმად ოთხ ტურზე გათვლილი მრავალფეროვანი პროგრამები მიზნად ისახავს მაქსიმალურად გამოავლინოს შემსრულებელთა შემოქმედებითი შესაძლებლობები; ის მოიცავს რეპერტუარს ბაროკოს ეპოქიდან დაწყებული თანამედროვე მუსიკით დამთავრებული, რაც საკონკურსო ნაწარმოებების შერჩევისას მაქსიმალურ თავისუფლებას იძლევა და შეესატყვისება თანამედროვე პრესტიჟული კონკურსების მოთხოვნებს. სხვა მრავალ სპეკპრიზთან ერთად, II ტურში გათვალისწინებულია ჯილდო საავალდებულო ქართული ნაწარმოების - ამჯერად, ნოდარ გაბუნიას იმპროვიზაციისა და ტოკატის საუკეთესო შესრულებისათვის, ქართველი და უცხოელი პიანისტებისათვის ცალ-ცალკე.

1 ოქტომბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონკურსი საზეიმოდ გახსნა კონკურსის გენერალურმა დირექტორმა მანანა დოიჯაშვილმა; სცენაზე ერთად ისხდნენ კონკურსანტები და მათი მსაჯულები, ორგანიზატორები და სტუმრები. საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ვიცე-მერმა ბ-მა მამუკა ახვლედიანმა, მუსიკალური ხელოვნების დიდმა ქომაგმა, ქვეყნის პირველმა ლედიმ ქ-ნმა სანდრა რულოვსმა, საფრანგეთის ელჩმა ბ-მა ერიკ ფურნიემ, ესტონეთის ელჩმა ბ-მა ტომას ლუკიმ, ჟიურის წარმომადგენელმა ბ-მა სერჯიო პერტიკაროლიმ; იყო მისალმებები, კეთილი სურვილები და მადლიერების სიტყვები. ეს ყველაფერი უკვე ტრადიციულია ამ კონკურსისთვის. ტრადიციულია ისიც, რომ კონკურსანტებთან ერთად ამ საღამოს ჰყავდა მთავარი მოქმედი პირი - მანანა დოიჯაშვილი, რომლის გარეშე ვერ შედგებოდა ეს ზეიმი და რომელმაც შეუძლებელი შეძლო; ერთ-ერთმა სტუმარმა, უორენ ტომსონმა მას ხატოვნად "ეროვნული განძიც" კი უწოდა.

სიმბოლური იყო კონკურსის საზეიმო გახსნის საკონცერტო ნაწილიც. მასში სოლო პროგრამით წარსდგა კონკურსის ჟიურის წევრი - ბრწყინვალე პიანისტი ალექსანდრე კორსანტია. ესეც ამ კონკურსის ტრადიციაა, როდესაც ჟიურის წევრები თავისი ხელოვნებით გახსნის ცერემონიალზე "ტონს" აძლევენ კონკურსის მონაწილეებს. ამჯერად, "მასტერკლასი" კორსანტიამ ჩაატარა. მან აჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს უმაღლესი რანგის ხელოვნება; მის მიერ შესრულებული რახმანინოვის ვარიაციები შოპენის თემაზე, თხზ. 22 და ბისზე საოცარი სინატიფით აჟღერებული შოპენის პრელუდია და ვალსი, ამის შესანიშნავი მაგალითი იყო.

დღეს იყო დღესასწაული. ხვალ კი კონკურსი ჩვეული რიტმით შეუდგება მუშაობას; 2 ოქტომბერს პიანისტთა თბილისის IV საერთაშორისო კონკურსის "ექსპოზიციური", I ტურის მოსმენები იწყება.

იქნება სიხარული და გულისტკენაც, მოგებაც და წაგებაც-კონკურსი ხომ თავად ცხოვრების მოდელია. მონაწილე ამისათვის ფსიქოლოგიურად უნდა იყოს მზად, თუნდაც იმიტომ, რომ კონკურსი არ არის მუსიკოსის შემოქმედების შეფასების გადამწყვეტი ფორმა. მთავარი შეძენილი გამოცდილებაა, რომელიც მუსიკოსს შემდგომი წინსვლის სტიმულს მისცემს და ძიებების ახალ გზაზე გაიყვანს.

ერთი წიგნის ისტორია

ნიკოლოზ ჩხოტუას „მარადიული“ 60 წლის შემდეგ ქართულად გამოიცა

ია ვეკუა



...ბარონესა პარიზის კაფე „დე ლა კოლომბოს“ ღია ვერანდაზე ავიდა, ერთი ჭიქა რძიანი ყავა და სრული სიმშვიდე შეუკვეთა, რამდენიმე წუთის წინ სასაფლაოზე გადმოცემული ქაღალდის შეკვრა გახსნა, შეყვითლებული ფურცლები ამოალაგა, ხელნაწერ სწრიქონებს თვალი გადაავლო და პირველ გვერდზე გამოყვანილი ხელით დაწერილი ერთადერთი სიტყვა „მარადიული“ ამოკითხა. შემდეგ მეორე გვერდს დააკვირდა, სადაც მარჯვენა კუთხეში მიწერილი ფრაზა დახვდა: „მას, ვინც ერთხელ დავკარგე, რათა სამუდამოდ მეპოვა“. ეს ფრაზა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ მოხუცი ქალბატონი მრავალი წლის წინანდელ ისტორიას კიდევ ერთხელ დაბრუნებოდა. მასთან ერთად დროში ახლა უკვე ქართველი მკითხველიც იმოგზაურებს - ჩვენთვის პრაქტიკულად უცნობი ავტორის, ნიკოლოზ ჩხოტუას ერთადერთი დასრულებული ნაწარმოები „მარადიული“ მის მშობლიურ ენაზე გამოიცა.

რამდენიმე წლის წინ ქართველმა მკითხველმა კიდევ ერთი ათეულობით წლების წინ დაწერილი და ასევე უცნობი ნაწარმოები, ყურბან საიდის „ალი და ნინო“ გაიცნო. აზერბაიჯანელი და ქართველი გოგონას სასიყვარულო ისტორია, რომელმაც შემდგომში მკითხველში პოპულარობა მოიპოვა, თავის დროზე საქართველოში მცხოვრებმა ინგლისელმა ლიტერატორმა პიტერ ნეისმიტმა აღმოაჩინა. მისი აღმოჩენაა ნიკოლოზ ჩხოტუას „მარადიულიც“. 1949 წელს გამოცემულ წიგნს მან ლონდონის ქემდენ თაუნის ერთ-ერთ ბუკინისტურ მაღაზიაში მიაგნო და როგორც თავადვე იხსენებს, ამ აღმოჩენით გაოცებული და აღფრთოვანებული იყო - ქართველი ავტორების ნაწარმოებების ინგლისური ვერსიების, მით უმეტეს, ამავე ენაზე დაწერილის აღმოჩენა ხომ პრაქტიკულად შეუძლებელია. პიტერ ნეისმიტმა წიგნი შეიძინა და საქართველოში ჩამოიტანა, რამდენიმე დღის წინ კი „მარადიული“ კიდევ ერთხელ გამოიცა. ამჯერად ორიგინალი, ანუ ინგლისური ვერსიის გარდა ნაწარმოების ქართული ვარიანტიც გამოსცეს, თარგმანის ავტორები კი ირაკლი თოფურია და კახა ჯამბურია არიან.

„მარადიული“ სასიყვარულო რომანია. მისი მოქმედების ძირითადი ხაზი 1897-1899 წლებში ვითარდება და ორი ახალგაზრდას, შოთა იბერიელისა და ტაია რურიკოვას რომანტიკულ ურთიერთობას ასახავს. მათ შეხვედრას ავტორი თითქოს ბავშვური გულუბრყვილობითა და გულწრფელობით აღწერს. გულწრფელია მკითხველთანაც, რომელსაც უბრალოდ მოუთხრობს: „შემიყვარდა თბილისში, 1897 წელს, გვიანი აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს, რომელიც სხვა დღეებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ტაია მიყვარდა მაშინაც, როდესაც დედამინას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფორმა და სავსებით უკაცრიელი, უკუნეთ სიბნელეში ბრუნავდა. და მაშინაც მეყვარება, როდესაც დედამიწა იქცევა უწყლო და უჰაერო ბურთად, რომელიც უაზროდ იტრიალებს ბნელ და მკვდარ უსასრულობაში“.

როგორც ნიკოლოზ ჩხოტუას ბიოგრაფიიდან ირკვევა, მას სხვა ნაწარმოებების დაწერის მცდელობაც ჰქონია, თუმცა მხოლოდ მეუღლისადმი მიძღვნილი „მარადიულის“ დასრულება შეძლო. შესაძლოა სწორედ მწერლის გამოუცდელობის გამო ნაწარმოები მარტივი, ძალიან უშუალო ენითაა დაწერილი. თუმცა ამ უშუალობის მიღმა ნიკოლოზ ჩხოტუას არა მხოლოდ ქალისადმი, არამედ მონატრებული სამშობლოსადმი დიდი სიყვარულის ამოკითხვა შეიძლება. იგი მთელი არსებით აღწერს საქართველოს ბუნების სილამაზეს, კავკასიონის მთების დიდებულებას, ზღვისპირა პეიზაჟებსა და ლანდშაფტის სხვა თავისებურებებს. ნაწარმოებში რამდენჯერმე უსვამს ხაზს თავის წარმომავლობას, საკუთარ ქართველობას და ამით დაუფარავ სიამაყეს.

ნიკოლოზ ჩხოტუამ კარგად იცოდა, რომ „მარადიულს“ ინგლუსურენოვანი მკითხველისთვის წერდა, ვისთვისაც საქართველო პრაქტიკულად უცნობ ქვეყანას, უცხო კულტურას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ნაწარმოებს ერთგვარი გზამკვლევის ფუნქციაც შესძინა. ბუნების აღწერის გარდა, იგი არც საქართველოს ისტორიის ცალკეული ეპიზოდების თხრობას იზარებს, ყვება თბილისის დაარსების ლეგენდას, იხსენებს ქალაქის ყველა დამპყრობელსა და ამაოხრებელს, ქალაქისას, რომელიც „საქართველოს დედაქალაქად და კულტურულ ცენტრად რჩებოდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, სანამ რუსეთის მეფეები საბოლოოდ არ დაეპატრონენ ამ პატარა ქრისტიანულ ქვეყანას, იმ დროს სისხლისგან რომ იცლებოდა ისლამური ქვეყნების შემოტევებისგან“. ავტორი ქართულ ადათ-წესებსაც აღწერს და განმარტავს სიტყვა „გამარჯობის“ მნიშვნელობას, ვაჟების აღზრდის ტრადიციას: „როგორც კი ბიჭი ისე წამოიზრდება, რომ თოფის ტარებას შეძლებს, მისი გაწვრთნა იწყება: აძლევენ სამ ტყვიას და უშვებენ ტყეში. თუ დაბრუნდა სამი მოკლული ნადირით, ის უკვე კაცია და ყანწით ღვინოს მიართმევენ“... განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ავლენს შოთა რუსთაველის მიმართ, ხშირად მოჰყავს ციტატები „ვეფხისტყაოსნიდან“ და ხაზს უსვამს მის გენიალობას.

საინტერესოა თავად ნიკოლოზ ჩხოტუას ბიოგრაფია, რაც „მარადიულშიც“ იკითხება. იგი შალვა ჭყონიასა და თავადიშვილ პელაგია ჩხოტუას ვაჟი გახლდათ (მწერალი მოგვიანებით დედის გვარზე გადავიდა). 1921 წელს, 16 წლის ასაკში სხვა ქართველი თავადიშვილების მსგავსად ევროპაში გაემგზავრა. განათლება პარიზსა და ბერლინში მიიღო, თუმცა ჯანმრთელობის გაუარესების გამო იძულებული გახდა, მრავალი წელი შვეიცარიის ალპებში გაეტარებინა. 30-იანი წლების დასაწყისში საცხოვრებლად ინგლისში გადავიდა, სადაც ინგლისური ენა შეისწავლა, 1933 წელს კი ამერიკაში გაემგზავრა. მომავალი მეუღლე, კეროლ მარმონი, მარმონების საავტომობილო კომპანიის დამაარსებლის ქალიშვილი, ჰოლივუდში გაიცნო და მალევე დაქორწინდა. იგი წლების განმავლობაში დიპლომატიურ სამსახურში იყო. მალტის ორდენის სრულუფლებიანი ელჩი გახლდათ კოსტარიკაში, ჩილეში, პერუსა და ესპანეთში, სადაც თავადვე აარსებდა საელჩოებს.

ნიკოლოზ ჩხოტუა 1984 წელს ლოზანაში გარდაიცვალა. სიკვდილის წინ კი ექვს შვილს ერთადერთი სურვილის შესრულება სთხოვა - მისი გული საქართველოში დაემარხათ. ვინაიდან საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდი იყო, ცხადია ემიგრანტის თუნდაც სხეულის ნაწილის ფერფლის ჩამოტანა, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მამის ანდერძის შესრულება შვილებმა მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ შეძლეს - 1988 წლის მაისში ნიკოლოზ ჩხოტუას გულის ფერფლი თბილისის წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიასთან მდებარე სასაფლაოზე ჩუმად დაკრძალეს. ასე აუსრულდა უკანასკნელი ოცნება სამშობლოსგან შორს, მაგრამ მაინც მასთან ასე ახლოს მყოფ, დღემდე ყველასთვის უცნობ ნიკოლოზ ჩხოტუას.

21-ეს საუკეთესოები

კრიტიკოსებისა და მკითხველის გემოვნება განსხვავებულია

ამერიკულმა ლიტერატურულმა ჟურნალმა The Millions რამდენიმე დღის წინ 21-ე საუკუნის საუკეთესო წიგნების ორი რეიტინგი გამოაქვეყნა. ერთი ლიტერატურის კრიტიკოსებისა და თავად გამოცემის ექსპერტების მიერაა შედგენილი, მეორე - მკითხველის გემოვნებას ეყრდნობა, რომელიც ხმას Facebook-ის მეშვეობით აძლევდა. აღმოჩნდა, რომ ლიტერატურის მცოდნეთა და ლიტერატურის მოყვარულთა გემოვნება რადიკალურად განსხვავდება.

კრიტიკოსთა რეიტინგის ოცეულს ამერიკელი მწერლის, ჯონათან ფრანზენის "კორექტივები" ლიდერობს. ეს არის 2001 წელს გამოცემული რომანი, რომელიც საშუალო ფენის ოჯახის ცხოვრებას აღწერს. მთავარი ხაზი კი ცოლ-ქმარისა და მათი სამი აყვანილი შვილის ურთიერთობაზე გადის. ოჯახს ათასწლეულის მიჯნაზე ვეცნობით, სწორედ მაშინ, როდესაც მსოფლიო მეორედ მოსვლის მოლოდინში იყო. რომანმა ავტორს გამოსვლისთანავე დიდი წარმატება მოუტანა და იგი მაშინვე ამერიკის თანამედროვე მწერალთა მოწინავე რიგებში აღმოჩნდა. წიგნმა იმავე წელს მოიპოვა ამერიკის ეროვნული პრემია, ხოლო რამდენიმე ლიტერატურულმა გამოცემამ მას 21-ე საუკუნის პირველი უდიდესი რომანი უწოდა. აქვე გეტყვით, რომ 2011 წელს ფრანზერის აღნიშნული რომანის მიხედვით გადაღებული ფილმის გამოსვლა იგეგმება. მისი რეჟისორია რობერტ ზემეკისი.

აღსანიშნავია, რომ მკითხველის რეიტინგში "კორექტივებმა" მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავა, სამაგიეროდ უმაღლეს პოზიციაზე ჯუნო დიასის ძალიან სევდიანი "ოსკარ უაოს ხანმოკლე საოცარი ცხოვრება" განთესეს (ექსპერტთა სიაში მხოლოდ მე-11 ადგილი). ეს არის 2007 წელს გამოცემული ნახევრად ავტობიოგრაფიული რომანი, რომელიც მსუქანი და უბედური ბავშვის ცხოვრებას აღწერს. ნიუ ჯერსიში მცხოვრები ოსკარი სწორედ იმ ასაკშია, როდესაც ყველაზე მეტად სჭირდება საკუთარი ინდივიდუალიზმის დამტკიცება, პიროვნების წარმოჩენა. წიგნი ერთგვარი "სპანგლიშის" ენაზეა დაწერილი, რაც ინგლისურისა და ესპანურის სინთეზს წარმოადგენს და თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურასა და მკითხველში მეტად პოპულარულია. შესაძლოა რომანის მასიური მკითხველის ამგვარი სიყვარულიც სწორედ ენობრივი თავისებურებითაა გამოწვეული.

ცხადია გამოკითხვაში იყო წიგნები, რომლებიც თითქმის ერთნაირად შეაფასეს კრიტიკოსებმაც და მკითხველმაც: დევიდ მიტჩელის "ღრუბლიანი ატლასი", რობერტო ბოლანიოს "2666" და კორმაკ მაკარტის "გზა". ასევე რეიტინგში მოხვდა ჰარუკი მურაკამის "კაფკა პლაჟზე", ზედი სმიტის "თეთრი კბილები" და ხალედ ჰოსეინის "ქარს დადევნებული" (ამ უკანასკნელის მიხედვით გადაღებული ამავე სახელწოდების ფილმი 2007 წელს გამოვიდა).

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

26 სექტემბერი - 18 ოქტომბერი, 2009

საერთაშორისო პროგრამა

5 ოქტომბერი, ორშაბათი
„ნიღაბი“ - ბაქოს პანტომიმის სახელმწიფო დრამატული თეატრი, აზერბაიჯანი
რეჟისორი ბახტიარ ხანიზადე
დასაწყისი: 20:00
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

6, 7 ოქტომბერი
სამშაბათი/ოთხშაბთი

So, So (ისე რა...)
COMPAGNIE DES LOUPS. COPRODUCTEURS: EUROKAZ FESTIVAL and LA COMMUNAUTE INAVOUABLE
Production Franco - Croatian
საფრანგეთი, ხორვატია (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ბრანკო ბრეზოვეჩი
დასაყისი: 20:00
სასტუმრო Tbilisi Mariott

8, 9 ოქტომბერი
ხუთშაბათი/პარასკევი
„ზიგმუნდის ოინები“ Company Philipe Genty, საფრანგეთი (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ფილიპ ჟანტი
დასაწყისი: 20:00
ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული რუსული თეატრი, მცირე სცენა

12 ოქტომბერი, ორშაბათი
„ჰეტეროფილი“ Weimer Theatre,
შვედეთი (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი კრისტინა ოზოუნიდისი
სასტუმრო RADISSON SAS IVERIA

13 ოქტომბერი სამშაბათი
უილიამ შექსპირის „ჰამლეტი"-ს მიხედვით
...და ნამდვილი ციხე
ერევნის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრი,
სომხეთი (ქართული სუბტიტრებით)
რეჟისორი აკოფ კაზანჩიანი
დასაწყისი: 19:45
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, მცირე სცენა

13, 14, 15 ოქტომბერი
სამშაბათი/ოთხშაბათი/ხუთშაბათი
ნიკოლოზ გოგოლი
„შინელი“ - Gecko Company, დიდი ბრიტანეთი
რეჟისორი ამიტ ლაჰავი
დასაწყისი: 20:00
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

15 ოქტომბერი ხუთშაბათი
„ღია წრე“ - Theatre laboratory OPEN CIRCLE, ლიტვა
რეჟისორი აიდას გინიოტისი
დასაწყისი: 20:00
თავისუფალი თეატრი

15 ოქტომბერი, ხუთშაბათი
გეორგ ბიუჰნერი
ვოიცეკი Sadari Movement Laboratory,
კორეა (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი დო-ვან იმი
დასაწყისი: 19:45
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, დიდი სცენა

15 ოქტომბერი, ხუთშაბათი
PALLAE WOMANHOOD STORY
JEONG-HO NAM & KNUA CHOREGRAPHY TROOP, კორეა
ქორეოგრაფი ნამ ჯოენგ-ჰო
დასაწყისი: 18:00
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

18 ოქტომბერი, კვირა
INFINITA - Company Family Floze, გერმანია
დადგმა: ჰაიო შულერი, მაიკლ ვოგელი
დასაწყისი 20:00
სამეფო უბნის თეატრი

PREMIERE URGENCE
AIDE HUMANITAIRE INTERNATIONALE

UNHCR
The UN Refugee Agency

ტენდერი ცხადდება სხვადასხვა ნივთების შეძენაზე და ემსახურება მიახლოებით 700 შემოსავლების გენერირების პროექტის განხორციელებას ზუგდიდსა და გორის რეგიონში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირებისათვის.

[Ref: TF/PU/GEO/HCR/09022/TE0405/002]

საერთაშორისო ჰუმანიტარული არასამთავრობო ორგანიზაცია პრემიერ ურჯენსი, რომელიც მოქმედებს საფრანგეთის კანონმდებლობით და ფინანსდება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ (UNHCR), იწვევს მოტივირებულ რეგისტრირებულ კომპანიებს მიიღონ მონაწილეობა ტენდერში და მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები ქვემოთ ჩამოთვლილი დარგებისათვის განკუთვნილი ნივთების მოწოდებაზე.

- ✓ **სკები სრული ფუტკრის ოჯახებით - გორის რეგიონი (ლოტი 1)**
- ✓ **ელექტრო ხელსაწყოები (ლოტი 2):** კუთხის სათლელები (”ბალგარკები”), ელექტრო ბურღები, ელექტრო ხელის ხერხები (”ლობზიკები”), ელექტრო ფრეზები, ელექტრო ბურღი პერფორატორები და ა.შ.
- ✓ **ბენზინის ჯაჭვური ხერხები (ლოტი 3)**
- ✓ **შედუღების ხელსაწყოები (ლოტი 4):** ელექტრო შედუღების აპარატები, ელექტრო შედუღების აპარატები (”კემპი”), არგონის შედუღების აპარატები.
- ✓ **ჰაერის კომპრესორები (ლოტი 5)**
- ✓ **ავტო-მომსახურების მოწყობილობები (ლოტი 6):** საბურავის დასაშლელი აპარატები, საბურავის ბალანსირების აპარატები, ჰიდრავლიკური ამწეები, საბურავის დასაკერებელი პრესები და ა.შ.
- ✓ **ავტო-სამრეცხაოს მოწყობილობები (ლოტი 7):** მაღალი წნევის წყლის აპარატები, მტვერსასრუტები.
- ✓ **მაცივრები (ლოტი 8)**
- ✓ **ვერტიკალური მინიანი მაცივრები (”წვენების”) (ლოტი 9)**
- ✓ **დახლმაცივრები (ლოტი 10)**
- ✓ **ჰორიზონტალური მინიანი მაცივრები (”სანაყინე”) (ლოტი 11)**
- ✓ **ელექტრონული ტექნიკა (ლოტი 12):** კომპიუტერები, ფოტო კამერები, პრინტერები, კოპირების აპარატები და ა.შ.
- ✓ **სამკერვალო მოწყობილობები (ლოტი 13):** საკერავი მანქანები, საკერავი მანქანები ”ავერლოკები”, საქსოვი მანქანები და ა.შ.
- ✓ **სადალაქო მოწყობილობები (ლოტი 14):** სავარძლიანი თმის დასაბანი ნიჟარები, მაკრატლები, თმის ელექტრო საპარსები, თმის გასასწორებელი უთოები, თმის დასახვევი უთოები, სავარცხლები და ჯაგრისები, თმის საშრობი ფენები და ა.შ.
- ✓ **სადურგლო / ავეჯის წარმოება (ლოტი 15):** მაღაზიის დახლები, თაროები, მაგიდები, კომპიუტერის მაგიდები და ა.შ.

დაინტერესებულ - ლიცენზირებულ კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ სათანადო დაწვრილებითი ინფორმაცია და ინსტრუქციები მხოლოდ **2009 წლის 05 ოქტომბერს , ორშაბათს და 06 ოქტომბერს, სამშაბათს, 09:00-დან 18:00 საათამდე**

-პრემიერ ურჯენსის თბილისის ოფისში : ზანდუკელის ქ. № 5,
ტელ.: (822) 98 24 56. საკონტაქტო პირი - ნელი დათუკაშვილი
-პრემიერ ურჯენსის გორის ოფისში: ბესარიონ ჯუღაშვილის ქ № 4,
ტელ.: (8270) 7 96 25. საკონტაქტო პირი: დავით კურტანიძე
-პრემიერ ურჯენსის ზუგდიდის ოფისში: გამსახურდიას ქ № 197,
ტელ: (812 315) 5 42 20. საკონტაქტო პირი: ბიძინა ქარჩავა

პროექტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი

შესყიდვის ობიექტი – პროგრამული ლიცენზიები (ინსტალაციით)

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს პროგრამული ლიცენზიების (ინსტალაციით) შესყიდვაზე.

შესყიდვის ობიექტი:

ლოტი №	საქონლის დასახელება		განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	პროგრამული ლიცენზიები	VMware vSphere 4 Enterprise for 1 processor (ან მსგავსი)	ცალი	48
		Gold Support/Subscription for VMware vSphere Enterprise for 1 processor for 1 year (ან მსგავსი)	ცალი	48
		VMWare Site Recovery Manager for 1 processor (ან მსგავსი)	ცალი	28
		Gold Support/Subscription for VMware Site Recovery Manager (ან მსგავსი)	ცალი	28
		WMware vCenter Server 4 Standard for vSphere (Includes Orchestrator and Linked Mode) (ან მსგავსი)	ცალი	1
		Gold Support/Subscription for vCenter Server 4 Standard (ან მსგავსი)	ცალი	1

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. პროგრამული ლიცენზიების (ინსტალაციით) მიწოდება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. მიწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №16-ში.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 27 ოქტომბერს 09:00 საათიდან 15:00 საათამდე მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 **იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 **როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა)სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ.

6. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

7. სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

№	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტები
1	სატენდერო წინადადების ღირებულება	0,50
2	საგარანტიო პირობები	0.35
3	მიწოდების (ინსტალაციით) ვადები	0,15
	სულ:	1,00

8. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-7 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

9. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.

10. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

11. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.

12. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-16 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 05 ოქტომბრის 09:00 საათიდან 2009 წლის 26 ოქტომბრის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული ოთახი №8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.

13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

14. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 27 ოქტომბერს 15:00 საათზე.

15. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

16. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000
გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, პროგრამული ლიცენზიები (ინსტალაციით), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-17 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

17. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: (+99532) 261-337, 261-335; საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, ირაკლი თადიაშვილი, ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge, i.tadiashvili@mof.ge.**

სპორტი

ფინალში «ლელოს» «ბათუმი XV» დაუპირისპირდება

ბათუმელები რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ ფინალში ითამაშებენ

10 ოქტომბერს გაირკვევა, თუ ვინ გახდება საქართველოს ჩემპიონი რაგბში და ვინ მოიგებს «ბზის» თასს. შაბათს კი ცნობილი გახდა, რომ ამ პრესტიჟულ ჯილდოს ახალი მფლობელი ეყოლება. მოგეხსენებათ «ლელომ» ფინალში თამაშის უფლება გასულ ერთი კვირის წინ დაიბევა. შაბათს კი მცირე ფინალში ერთმანეთის პირისპირ აწ უკვე «ბზის თასის» ყოფილი მფლობელი «ლოკომოტივი» და «ბათუმი XV» დაუპირისპირდნენ.

უნდა ითქვას, რომ ფავორიტად თბილისური გუნდი მიიჩნეოდა, რომლის ხელმძღვანელობაც არა მარტო ფინალში გასვლას, არამედ «ბზის თასის» მოგებას და რეგულარულ სეზონში «ლელოსთან» განცდილი სამი მარცხის გამო რევანშსაც აიღებდა.

თუმცა ყველაფერი ისე, როდი ხდება, როგორც დაგეგმავ ხოლმე. ზღვისპირელებმა მშვენიერი რაგბი აჩვენეს და ბოლო წუთებზე დადებული ლელოს წყალობით თამაში ანგარიშით - 17:15 მოიგეს, რითაც ფინალისკენ მიმავალ გზაზე მწვანე შუქი აინთეს.

არადა, თამაში «ლოკომოტივის» უპირატესობით დაიწყო. ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისელებს თავიანთი ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ბობა კვინიხაძე აკლდათ და მიუხედავად ამისა, პირველი ტაიმი ანგარიშით - 9:3 მოიგეს.

მეორე ტაიმის დებიუტში კი «ლოკომოტივმა» ჯარიმა გამოიყენა და უპირაატესობა 9 ქულამდე გაზარდა. ამის შემდეგ ზღვისპირელებმა სამი ზუსტად შესრულებული ჯარიმით წონასწორობის აღდგენა შეძლეს, თუმცა მატჩის მიწურულს უკვე რკინიგზელები დაწინაურდნენ ჯარიმით და ანგარიში 15:12 გახდა თბილისელთა სასარგებლოდ. თითქოს თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ ბათუმელებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს, ბოლომდე იბრძოლეს და მათი ძალისხმევა დაფასდა კიდეც. ზღვისპირელთა ბოლო შეტევა კიკაჩეიშვილმა ლელოთი დააგვირგვინა. მართლია ნინიძეს გარდასახვა გაუცუდდა, მაგრამ ბათუმელებმა «ლოკომოტივის» ბოლო შეტევა მოიგერიეს და ფინალშიც გავიდნენ, სადაც მათ უკვე «ლელო». ელოდება.

მარკოიშვილის პირველი იტალიური გიტული

კვლავაც წარმატებით განაგრძობენ მზადებს მომავალი სეზონისთვის უცხოეთში მოთამაშე ქართველი კალათბურთელები. სულ ცოტა ხნის წინ ვიკა სანიკიძის «ვირტუსმა» მოიგო ოთხთა ტურნირი, ახლა კი უკვე მანუჩარ მარკოიშვილის «კანტუმ» შეძლო რუფუს მემორიალის მოგება, რომელშიც «კანტუს» გარდა. «ფერარა» «ვარეზე» და «არმანი ჯინსი» მონაწილეობდნენ.

ტურნირის პირველ მატჩში ქართველი კალათბურთელის კლუბმა «ფერარას» ოვერტაიმში 92:87 სძლია, «მანუმ» კი 14 ქულა მიითვალა.

ფინალში «კანტუ» «ვარზეზეს» დაუპირისპირდა და მეტოქე ანგარიშით 97:75 დაამარცხა. ჩვენებურს არც ამჯერად შეურცხვენია თავი და საკუთარ ანგარიშზე 12 ქულა ჩაიწერა.

ვიქტორ სანიკიძის «ვირტუსმა» მორიგი საკონტროლო მატჩი მილანის «არმანი ჯინსის» წინააღმდეგ ჩაატარა და 49:68 დამარცხდა, ქართველი კალათბურთელი კი 13 ქულით გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ბოლონიელებმა 13 ქულაზე მეტის ჩაგდება ვერცერთ მეოთხედში ვერ მოახერხეს და საერთო ჯამში, მხოლოდ 49 ქულას დასჯერდნენ. სანიკიძის გარდა 10-ქულიან ზღვარს მხოლოდ დუშან ვუკჩევიჩმა გადააბიჯა.

«ვირტუსს» გუშინ გვიან საღამოს უნდა გაემართა გაცილებით მნიშვნელოვანი მატჩი სანიკიძე და მისი თანაგუნდელები იტალიის სუპერთასის შეხვედდრაში ნიკა მეტრეველის «მონტეპასკის» უპიმრისპირდებობდენ.

ამ დღეებში მოსკოვში გოლმელსკის ტურნირი გაიმართა, სადაც გირგი შერმადინის «პანათინაიკოსიც» ღებულობდა მონაწილეობას. სამწუხაროდ მოსკოვში სტუმრობა ქართველი ცენტრისთვის მთლად იღბლიანი არ გამოდშა.

რუსულ «ტრიუმფთან» მატჩის პირველივე წუთებზე შერმადინს ორთაბრძოლისას ცხვირი გაუტეხეს, რის შემდეგაც, გიორგიმ, ბუნებრივია, მოედანი დატოვა.

ათენელთა მთავარმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში დააყენა, თუმცა, მალევე გიორგის სახეში მეტოქის ხელი მოხვდა და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

«პანათინაიკოსის» ექიმმა ტანასის კონიდისმა შერმადინი პირდაპირ მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მას რენტგენი გადაუღეს, მატჩის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე კი ობრადოვიჩმა განაცხადა, რომ ქართველს ცხვირი გაუტყდა და მკურნალობას საჭიროებს.

შერმადინს უქმობა დაახლოებით 7-10 დღის განმავლობაში მოუწევს, უფრო დაზუსტებული ინფორმაცია კი, ათენელთა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გახდება ცნობილი.

თავად შეხვედრა მოულოდნელად დაძაბული გამოდგა და «პანათაინაიკოსმა» მხოლოდ 66:62 იმარჯვა.

ფინალში კი «პაომ» უკვე შერმადინის გარეშე ცსკა ანგარიშით 78:72 დაამარცხა.

ლაშა გამყრელიძემ გერმანულ «მიტელდოიჩერში» საუკეთესო მატჩი ჩაატარა და მის გუნდს «გოტინგენის» დამარცხებაში (97:90) დაეხმარა.

«მიტელდოიჩერის» მთავარმა მწვრთნელმა ბიორნ ჰარმსენმა მოედანზე მხოლოდ რვა კალათბურთელი გაიყვანა, რომელთაგან შვიდმა (!) ათი და მეტი ქულის დაგროვება შეძლო.

მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე 23 წლის გამყრელიძე გახლდათ, რომელმაც 12 ქულას 6 შედეგიანი გადაცემა წაამატა.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრის ბოლო ქულები საჯარიმოს ხაზიდან სწორედ ქართველმა გამთამაშებელმა მიითვალა და გუნდს შვიდი ქულის სხვაობით მოაგებინა. 9 ოქტომბერს, გერმანული ბუნდესლიგის პირველი ტურის მატჩში, «მიტელდოიჩერი» ტუებინგენის «ტაიგერსს» ესტუმრება.

სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტმა ბოლნისში მომხდარი ინციდენტის გამო რუსთავის "ოლიმპი" დააჯარიმა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) სადისციპლინო კომიტეტმა ორი დღის წინ ბოლნისში მომხდარი ინციდენტის გამო, რომელშიც ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძეც მონაწილეობდა, საფეხბურთო კლუბი რუსთავის «ოლიმპი» 5 000 ლარით დააჯარიმა.

როგორც სადისციპლინო კომიტეტის ინფორმაციაშია აღნიშნული, რუსთავის «ოლიმპის» გულშემატკივრებმა 30 სექტემბერს ოლიმპი-სპარტაკის მატჩის დამთავრების შემდეგ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს შეხვედრის მსაჯებს და სფფ-ს დამკვირვებელს. გადაწყვეტილება მიიღეს ასევე, რომ რუსთავის «ოლიმპის» გუნდმა მომდევნო 2 კალენდარული მატჩი საკუთარ მოედანზე (ბოლნისში) მაყურებლების გარეშე ჩაატაროს.

რუსთავის საფეხბურთო კლუბს მიეცა პირობითი დისკვალიფიკაცია მიმდინარე ჩემპიონატის და დ.ყიფიანის სახ. თასის გათამაშებების დასრულებამდე.

ამავე ინფორმაციაში ნათქვამია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე 30 სექტემბერს, ბოლნისის სტადიონზე რუსთავის «ოლიმპისა» და ცხინვალის «სპარტაკის» მატჩის დამთავრების შემდეგ მომხდარი ინციდენტი განიხილეს.

«შეხვედრის მომსახურე ბრიგადის მოხსენებითი ბარათების თანახმად, ს.კ. «ოლიმპისა» და ს.კ. «სპარტაკის» მატჩის დამთავრების შემდეგ, მოედანზე შეიჭრნენ ს.კ. «ოლიმპის» გულშემატკივრები, ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულ დავით კირკიტაძესთან ერთად. მინდორზე შეჭრილმა გულშემატკივართა ჯგუფმა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა შეხვედრის მსაჯებს, შემდეგ კი ფიზიკურად გაუსწორდნენ მატჩის დამკვირვებელს ამირან კაჭახიძეს»,-აღნიშნულია ინფორმაციაში.

«ინტერპრესნიუსი»

ფილიპოვიჩი ქართველების დასახვედრად ემზადება

10 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები ჩერნოგორიას ესტუმრება და ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან გამართავს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩს. ჩერნოგრიელთა მწვრნელმა, ზორა ფილიპოვიჩმა, უკვე დაასხელა იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომლებიც ჯერ ქართველებს დაუხვდებიან, 14 ოქტომბერს კი სტუმრად ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებენ.

ჩერნოგორიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ფილიპოვიჩმა არჩევანი შემდეგ მოთამაშეებზე შეაჩერა:

მეკარეები: ვუკაშინ პოლექსიჩი («დებრეცენი», უნგრეთი), მლადენ ბოჟოვიჩი («პარტიზანი», სერბეთი), სრდან ბლაჟიჩი («ლევადიაკოსი», საბერძნეთი).

მცველები: სავო პავიჩევიჩი («კავალა», საბერძნეთი), ესლად ზვეროტიჩი («ლუცერნი», შვეიცარია), მარკო ბაშა («ლოკომოტივი», რუსეთი), რადოსლავ ბატაკი («ანთალიასფორი», თურქეთი), მიოდრაგ ჯუდოვიჩი («სპარტაკ-ნალჩიკი», რუსეთი), მილან იოვანოვიჩი («რაპიდი», ავსტრია), ლუკა პეჯოვიჩი («მოგრენი»), ვლადიმირ ბოჟოვიჩი («რაპიდი», რუმინეთი).

ნახევარმცველები: ნიკოლა დრინჩიჩი, მიტარ ნოვაკოვიჩი (ორივე - «ამკარი», რუსეთი), მლადენ კაშჩელანი («კარპატი», უკრაინა), ბრანკო ბოშკოვიჩი («რაპიდი», ავსტრია), სიმონ ვუკჩევიჩი («სპორტინგი», პორტუგალია), მილორად პეკოვიჩი («მაინცი», გერმანია), ივან დელიჩი («ბუდუჩნოსტი»).

თავდამსხმელები: სტევან იოვეტიჩი («ფიორენტინა», იტალია), მირკო ვუჩინიჩი («რომა», იტალია), დეიან დამიანოვიჩი («სეული», სამხრეთ კორეა), ანდრია დელიბაშიჩი («ჰერკულესი», ესპანეთი).

ჩერნოგორია-საქართველოს მატჩს თურქი არბიტრები მოემსახურებიან. მომავალი დაპირისპირების მთავარი მსაჯი სელჩუკ დერელი იქნება, რომელსაც ასისტენტობას მუსტაფა ემრე ეუსიო და ერდინქ სეზერტამი გაუწევენ. მეოთხე მსაჯად ფირათ აუდინუშია გამწესებული.

ბექჰემი მილანში არენდით ბრუნდება

Sky Sport Italia გაავრცელა ინფორმაცია, რომ ლოს ანჯელეს გალაქსის ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი იანვარში კვლავ მილანში გადავა არენდით. იყო სპეკულაციები, რომ ინგლისელ ნახევარმცველს უამრავი შეთავაზება ჰქონდა,თუმცა ამ გავლენიანმა იტალიურმა სპორტულმა არხმა გაავრცელა ცნობა, რომ შეთანხმება უკვე მიღწეულია და იანვრიდან ფეხბურთელი კვლავ მილანში ითამაშებს. ისიც ითქვა, რომ ბექჰემს შეეძლო გადაეხედა თავისი კონტრაქტისთვის, რომელიც ამერიკულ მხარესთან აქვს გაფორმებული, თუმცა იმის გამო,რომ როსონერის არ შეუძლია გრძელვადიანი წინადადების შეთავაზება, ამაზე ფიქრი გადაიდო.

სკაი სპორტი ასევე იმასაც იტყობინება,რომ ადრიანო გალიანი დღეს უკვე ესაუბრა ინგლისის ნაკრების მწვრთნელ ფაბიო კაპელოს.ყოფილი მილანის ტაქტიკოსი მოხარულია იმ ფაქტით, რომ ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი კვლავ ითამაშებს.

არსებობს მოსაზრება, რომ ლეონარდო აპირებს იანვრიდანვე ჩართოს ბექზი თავის ტაქტიკაში და იგი პირლოს ადგილას დააყენოს, ხოლო ეს უკანასკნელი შემტევად წინ წაწიოს. მიუხედავად ამ ცნობებისა, არც იტალიური, არც ამერიკული მხარე და არც ბექჰემი ამ ფაქტს არ ადასტურებენ.

ლამპარდი: კაპელოს არჩევანის მოლოდინშია

ჩელსის ნახევარმცველის, ფრენკ ლამპარდის მოსაზრებით, ინგლისის ნაკრების თავკაც ფაბიო კაპელოს მომავალი მატჩისთვის, გუნდის თავდამსხმელებს - ემილ ჰესკისა და ჯერმეინ დეფოს - შორის არჩევანის გაკეთება გაუჭირდება. როგორც ცნობილია, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში, რომელიც ოთხშაბათს შედგება, ინგლისელთა მეტოქე ხორვატიის ეროვნული გუნდი იქნება.

ორივე ფორვარდი ჩინებულ თამაშს აჩვენებს და ინგლისის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმსახურებს. ყველაფერი კაპელოს არჩევანზე იქნება დამოკიდებული. დარწმუნებული ვარ, ის შეცდომას არ დაუშვებს და მართებულ გადაწყვეტილებას მიიღებს. დიდი ხანია დეფოს ვიცნობ. ის მიზანსწრაფული ფეხბურთელი და ნამდვილი სნაიპერია.

ჰესკი უკვე საკმაო ხანია, რაც ეროვნულ გუნდში ასპარეზობს და სამწვრთნელო შტაბისგან ასევე იმსახურებს ნდობას. ამ ფორვარდების სათამაშო სტილი ერთმანეთისგან განსხვავდება. ვნახოთ, რომელ მათგანს მიანიჭებს კაპელო უპირატესობას, - ავრცელებს არისტოკრატთა ნახევარმცველის კომენტარს ფიფას ოფიციალური ვებგვერდი.

სესკი "არსენალს" არ დატოვებს

იმ დღიდან, რაც სესკ ფაბრეგასმა არსენალის ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი, მუდმივად მიდის საუბარი იმაზე, რომ ნახევარმცველი ესპანეთში დაბრუნდება და ან ბარსელონაში ითამაშებს ან კიდევ რეალში. ეს ჭორები სატრანსფერო პერიორდში ერთიორად ძლიერდება, თუმცა სესკი როგორც ჩანს კლუბის შეცვლას არ აპირებს.

Sky Sports-ის მიერ გავრცელებული ცნობით, ესპანელმა ნახევარმცველმა განაცხადა, რომ მეთოფეთა რიგებში ის თავს ბედნიერად გრძნობს.

კატალონიური გრანდისა და ესპანეთის ნაკრების ჰავბეკი, ხავი კი იმედს არ კარგავს, რომ ფაბრეგასი ბარსას დაუბრუნდება, რომლის საფეხბურთო აკადემიის აღზრდილიცაა. როგორც ცნობილია, სესკმა 16 წლის ასაკში დატოვა ბარსა და ლონდონს მიაშურა. ხავის მოსაზრება კლუბს ვერ შემაცვლევინებს. არსენალის კაპიტანი ვარ და ვფიქრობ, რომ ამ გუნდს ძალიან კარგად ვეწყობი. ამჯამად ჩემთვის ყველაზე მთავარი მეთოფეთა ღირსების დაცვაა. აქ თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. ლონდონში ცხოვრება მომწონს, - ამბობს ფაბრეგასი ფაბრეგასი, რომელსაც ეჭვი არ ეპარება, რომ მისი გუნდი მიმდინარე სეზონში ინგლისის ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს - მჯერა, რომ გავიმარჯვებთ. თუ გამარჯვებაზე არ ვიფიქრებთ, ფეხბურთის თამაშს რაღა აზრი აქვს? ყოველი შეხვედრისთვის საბრძოლველად უნდა განვეწყოთ და თამაში გავაუმჯობესოთ.

განცხადება

თბილისის 132-ე საჯარო სკოლა იჯარით გასცემს 104,75 კვ.მ. ფართს.

მსურველები დაგვიკავშირდნენ:

67-44-87, 58-63-54

დაწინაურდნენ რეგიონები

თბილისელები "ჩააჩოჩეს"

აკინომ "ოლიმპს" ამჯერადაც მოაგებინა.

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტური, რომლის შეხვედრების ძირითადი ნაწილი გუშინ, 4 ოქტომბერს გაიმართა, ორი სპეციფიკური ნიშნით გამოირჩა. პირველი - ქართული საფეხბურთო სამყარო ამ ტურს ახალი პრეზიდენტით შეხვდა - ზვიად სიჭინავამ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა და მომდევნო წელიწადნახევრის განმავლობაში უხელმძღვანელებს ფეხბურთის ფედერაციას. მეორე - წმინდა სპორტული მხარე: გასულ სეზონის ტრიუმფატორებმა, ჩემპიონმა "ვიტ ჯორჯიამ" და საქართველოს თასის გამარჯვებულმა, "დინამომ" დაბალ დონეზე ჩაატარეს თამაშები და უარყოფითი, შეიძლება ითქვას, სენსაციური შედეგით დაასრულეს შეხვედრები. მართალია, არც "დინამო" და არც "ვიტ ჯორჯია" არ დამარცხებულან, მაგრამ თუნდაც ფრე ისეთ გუნდებთან, რომლებიც საპრიზო ადგილებზე ბრძოლის პრეტენზიასაც კი არ აცხადებენ, ამ გუნდებისთვის მკვეთრად უარყოფით შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ტური კი წინა დღით, 3 ოქტომბერს დაიწყო ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, სადაც "ლოკომოტივმა" მოულოდნელად გალიდერებულ "ზესტაფონს" უმასპინძლა. ზოგადად "ზესტაფონის" ლიდერის რანგში ყოფნას ვერანაირად ვერ დავარქმევთ მოულოდნელობას - მენეჯმენტის, სამწვრთნელო შტაბის, შემადგენლობის, თამაშის ხარისხის და ყოველივე აქედან გამომდინარე, საფუძვლიანი ამბიციურობის გათვალისწინებით, ეს გუნდი სეზონიდან სეზონამდე მუდმივ პროგრესს განიცდის, ქართული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერადაც ჩამოყალიბდა და ის, რომ პირველი წრის ბოლოს სატურნირო ცხრილის კენწეროში აღმოჩნდა, გასაკვირი ნამდვილად არაა.

მოულოდნელობის ეფექტი მხოლოდ ის იყო, რომ "ზესტაფონის" გალიდერებას ხელი შეუწყო მისი კონკურენტების უაღრესად სუსტმა თამაშმა, რომლებმაც ზედ პირველი წრის ფინიშზე სენსაციური შედეგები გამოაცხვეს. ეს განსაკუთრებით "დინამოს" ეხება, რომელიც ჩემპიონატის გამოკვეთილ აუტსაიდერთან, "სამტრედიასთან" დამარცხდა და ამის გამო არა მხოლოდ ლიდერის პოზიცია დაკარგა, არამედ ერთბაშად სამი საფეხურით ჩაინაცვლა სატურნირო ცხრილის მეოთხე ადგილზე.

დავუბრუნდები "ლოკომოტივი" - "ზესტაფონის" მატჩს, რომელსაც ასევე ძალზე ცოტა დააკლდა სენსაციის დაფიქსირებამდე. გავიხსენებ, რომ სწორედ ამ გუნდების ზესტაფონური დაპირისპირებით დაიწყო მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატი და მაშინ ზესტაფონელთა სერიოზული უპირატესობის, უამრავი საგოლე მომენტის მიუხედავად, შეხვედრა ფრედ, - 0:0 დასრულდა. ამჯერადაც მატჩი, განსაკუთრებით კი მისი პირველი ტაიმი ანალოგიური სცენარით წარიმართა. ფანტასტიურად ითამაშა "ლოკოელთა" მეკარე ქვილითაიამ, რომელმაც სულ მცირე, ოთხჯერ მაინც აშკარა გოლისგან იხსნა საკუთარი კარი. ამ რუტინულ შრომაში მას წარმატებით ეხმარებოდნენ, როგორც საკუთარი მცველები, ისე კარის ორივე ძელი. ორ ეპიზოდში სწორედ ძელმა მოიგერია სტუმართა გააფთრებული შეტევა.

შეხვედრის მეორე ნახევარიც ანალოგიური სცენარით დაიწყო - ხარიხა, შემდეგ ძელი, ქვილითაიას ბრწყინვალე თამაში და თითქოს "ლოკომოტივი" ამჯერადაც "მშრალად" შეინახავდა საკუთარ კარს, რითაც "ზესტაფონს" მეორედ დატოვებდა "მშრალზე", მაგრამ გია გეგუჩაძის გუნდს მშველელად "ლოკოელი" ონიანი მოევლინა. ფინალურ სასტვენამდე არც ისე დიდი დრო იყო დარჩენილი, როცა დვალის სახიფათო დარტყმულს "ლოკომოტივის" მცველმა ბურთს თავი აკრა, მაგრამ მოგერიების ნაცვლად საკუთარი კარის ბადეში მიუჩინა ადგილი. პრინციპში, მრავლისმნახველ ქართველ ქომაგს ასეთი ავტოგოლები დიდი ხანია აღარ გვიკვირს.

"დინამო" კი აშკარა კრიზისშია. გუშინდელი თამაშის ჩათვლით, ბოლო სამ შეხვედრაში კახი კაჭარავას გუნდმა 9 შესაძლებლიდან სულ ორი ქულა მოიპოვა. რაც მთავარია, "დინამომ" ქულები არა კონკურენტებთან, არამედ - აუტსაიდერებთან დაკარგა ("სიონთან", "სამტრედიასთან" და "გაგრასთან"). გუშინდელ დაპირისპირებაში, რომელიც გლდანში, ამერის სტადიონზე გაიმართა, "დინამო" ძალზე ახლოს იყო ამ ნავსის გატეხვასთან, მაგრამ ბრწყინვალე შანსები ვერ გამოიყენა. სხვა ხელსაყრელ მომენტებს რომ თავი დავანებოთ, შეხვედრის მეორე ნახევარში "გაგრას" კარში მსაჯმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა დანიშნა, მაგრამ "დინამოს" კაპიტანმა, ხმალაძემ პენალტის რეალიზება ვერ მოახერხა.

"სამტრედია", როგორც ჩანს, თანდათან ავტორიტეტების რისხვად ყალიბდება. ის, რომ "დინამოს" სოლიდური ანგარიშით დამარცხება შეძლო, ყველამ სენსაციად აღიქვა. ამ მატჩიდან სულ რაღაც სამ დღეში სამტრედიელებს მოქმედი ჩემპიონის დამარცხებაც შეეძლოთ, მაგრამ ვეტერინარებმა მეტად მძიმე ბრძოლაში ქულის აღება მაინც შეძლეს. "სამტრედია" ორჯერ იგებდა, ჯერ ბეკარანიძის, შემდეგ ვაშაკიძის გოლების წყალობით, მაგრამ ლომაიამ და კვარაცხელიამ ორივეჯერ შეძლეს "სტატუს კვოს" აღდგენა.

ოთხმატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ გამარჯვება იზეიმა რუსთავის "ოლიმპმა" და მეორე პოზიციაზე გამაგრდა. რუსთაველებმა ბოლნისში ზუგდიდის "ბაიას" უმასპინძლეს და მხოლოდ ბოლო წუთებზე მოახერხეს მეტოქის წინააღმდეგობის საბოლოოდ გატეხვა. პირველი გოლი 53-ე წუთზე "ოლიმპის" ბრაზილიელმა ბომბარდირმა აკინო ანდერსონმა გაიტანა, მაგრამ ერთბურთიანი მყიფე უპირატესობა სამი ქულის გარანტიას არასდროს იძლევა. გოლი, რომელმაც ოთარ კორღალიძეს თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მისცა, 89-ე წუთზე გუნდის კაპიტანმა ბაბუნაშვილმა გაიტანა.

წაუგებელი თამაშების რიცხვი ხუთამდე აიყვანა თემურ მახარაძის "სიონმა", რომელიც ცხინვალის "სპარტაკს" გორში სტუმრობდა და ჩიკვილაძის გოლით იგებდა კიდეც. თუმცა შეხვედრის მეორე ნახევარში ბოიომომ აღადგინა წინასწორობა და გუნდებმა ქულები გაიყვეს.

მე-10 ტური

ლოკომოტივი - ზესტაფონი	0:1
ოლიმპი - ბაია	2:0
სამტრედია - ვიტ ჯორჯია	2:2
გაგრა - დინამო	0:0
სპარტაკი - სიონი	1:1

ზესტაფონი - 22 ქულა, ოლიმპი - 21, ვიტ ჯორჯია - 19, დინამო - 18, სპარტაკი - 17, სამტრედია - 13, სიონი - 11, გაგრა - 9, ბაია - 4, ლოკომოტივი - 2.

Country: Georgia
Project Id: P117860
Project Name: First East West Highway - AF
Loan Info.:

General Information	
Notice Type	Request for Expression of Interest
Borrower Bid Reference	N/A
Bid Description	FEASIBILITY STUDY AND BUSINESS PLAN FOR DEVELOPMENT OF SERVICE AND REST AREAS SYSTEM FOR TRANSIT HIGHWAYS AND THE BORDER CROSSINGS OF GEORGIA UNDER PUBLIC-PRIVATE-PARTNERSHIP
Language of Notice	English
Deadline for Application Submission Date	10/19/2009
Local Time	17:00
Selected category codes for product to be procured	**No. Category Code Description Primary**
Contact Information on Advertisement	
Organization/Department	Roads Department of Georgia
Name	Shakro Khalvashi
Title	Head of Procurement Department
Address	12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
City	Tbilisi
Province/State	
Postal Code	0160
Country	Georgia
Phone	99532-370-508
Fax	99532-313-034
Email	info@georoad.ge
Website	

Detailed Information for Advertisement

Georgia is applying for a loan from the World Bank towards the cost of First East West Highway Improvement Project - Additional Financing and intends to apply part of the proceeds to procure consulting service to prepare Feasibility Study and Business Plan for development of Service and Rest Areas System for Transit Highways and the Border Crossings of Georgia under Public-Private-Partnership.

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (project implementing agency) invites consulting companies to express their interest in providing the above-mentioned services. Interested companies shall provide information demonstrating that they are experienced enough to perform feasibility study and business plan, with their most relevant 5 projects, as well as CVs of the personnel, who will supposedly be involved in feasibility study process and have relevant qualification and experience in the field. Expression of Interest should not be more than 10 pages. Pages in excess of 10 may not be evaluated. Information should be presented in printed materials. Consultants may form sub-consultancy to enhance their qualifications. Company brochure may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 10 pages. Expression of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

On the basis of the EOI a short-list will be established and consultants will be requested to submit technical and financial proposals. It is anticipated that the project will start in November 2009, and must be completed by July 2010.

A consultant will be selected in accordance with the procedures set out in the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers* (May 2004 edition), using "Quality and Cost-based Selection" method.

Interested consultants may obtain further information from Monday to Friday at the address below during office hours from 10:00AM to 5:00PM. Expressions of Interest must be delivered to the address below on or before 17:00 Hours local time on 19 October 2009.

Roads Department of Georgia
Mr. Shakro Khalvashi
State Procurement Division, floor IV, room 402
12 Al. Kazbegi Avenue,
Tbilisi, 0160, Georgia
Tel: (995 32) 37-05-08 ext.2-15
Fax: (995 32) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge, copy to: roaddepirakli@yahoo.com
Web: www.georoad.ge

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად საქართველო

საკონსულტაციო მომსახურება
ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა
და ბიზნეს გეგმის მომზადება

საქართველოს საზღვრისპირა და სატრანზიტო ავტომაგისტრალების გასწვრივ მდებარე მომსახურებისა და მოსასვენებელი ადგილებისათვის

საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი მსოფლიო ბანკიდან პირველი აღმოსავლეთ-დასავლეთ ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის- დამატებითი დაფინანსების ხარჯების დასაფარად და განზრახული აქვს აღნიშნული კრედიტის ნაწილი გამოიყენოს საკონსულტაციო მომსახურების შესასყიდად, კერძოდ კი სახელმწიფოსა და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს საზღვრისპირა და სატრანზიტო ავტომაგისტრალების გასწვრივ მდებარე მომსახურეობისა და მოსასვენებელი ადგილების ბიზნეს გეგმისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა მოსამზადებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია) იწვევს ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე საკონსულტაციო კომპანიებს გამოხატონ თავიანთი დაინტერესება აღნიშნული მომსახურების გასაწევად. დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და ბიზნეს გეგმის მოსამზადებლად საჭირო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია და შესაბამისი 5 შესრულებული პროექტი, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ თანამშრომელთა შრომითი ბიოგრაფიები (CV), რომლებიც სავარაუდოდ მონაწილეობას მიიღებენ ტექნკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადებაში და გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება აღნიშნულ სფეროში. ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ბეჭდური სახით. კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რომელთა გვერდების რაოდენობა არ არის შეზღუდული და შესაძლოა იყოს 10 გვერდზე მეტი ან ნაკლები. ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ არის შეზღუდული) შემდეგს: შესაბამისი გამოცდილება პროექტთან მიმართებაში, ძირითადი პერსონალის რესურსები და კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი.

მოკლე სიის განსაზღვრა მოხდება ინტერესის გამოხატვის საფუძველზე, რის შემდეგაც კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ტექნიკური და ფინანსური წინადადებები. პროექტი სავარაუდოდ დაიწყება 2009 წლის ნოემბერში და უნდა დასრულდეს 2010 წლის ივლისში.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტის შერჩევა და დაქირავება" 2004 წლის მაისის გამოცემაში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, "კვალიფიკაციისა და ფასის მიხედვით შერჩევის" მეთოდის გამოყენებით.

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში 10:00 საათიდან 17:00 საათამდე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის 19 ოქტომბრის 17:00 საათისა:

საავტომობილო გზების დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო, IV სართული, ოთახი 402
ბ-ნი შაქრო ხალვაში, შესყიდვების სამმართველოს უფროსი
ალ. ყაზბეგის გამზირი N12
თბილისი, საქართველო 0160
ტელ: (+995 32) 37 05 08/2-15
ფაქსი: (+995 32) 31 30 34
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge ასლი: roaddepirakli@yahoo.com,
ვებ-გვარდი: www.georoad.ge

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი

საოპერაციო ბლოკით ბლოკით

SLT - ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

ფეტელმა გაიმარჯვა და ჩემპიონობის შანსი შეინარჩუნა

გერმანელი სებასტიან ფეტელის გამარჯვებით დასრულდა ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მე-15 ეტაპი - იაპონიის დიდი პრიზი. "რედ ბულის" პილოტმა სტარტი პოულ პოზიციიდან აიღო და მთელი რბოლის განმავლობაში, წინ არავინ გაუშვია. სეზონში მოპოვებული მესამე გამარჯვებით კი, მან ჩემპიონობის თეორიული შანსი შეინარჩუნა.

"ეს ჯერაც შესაძლებელია. კარგი იქნებოდა, რომ ერთი-ორი რბოლით მეტი გვქონდეს დარჩენილი, მაგრამ ახლაც ჩემპიონობის შანსს ვინარჩუნებთ და დღევანდელი გამარჯვება იმის ნიშანია, რომ შანსი ჯერაც გვაქვს. ჩვენ შესანიშნავი მანქანა გვაქვს, რომელიც რბოლიდან რბოლამდე უმჯობესდება. ჩვენს ბაზაზე დაუღალავად მუშაობენ, რომ მიზანს მივაღწიოთ. ასე რომ, ყველაფერი წინ გვაქვს", - ნარბოლევს განაცხადა ფეტელმა, ვინც ჩემპიონატის დასრულებამდე ორი რბოლით ადრე, ლიდერ ჯენსონ ბატონს 16 ქულით ჩამორჩება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ბატონი თუნდაც ოთხ ქულას აიღებს, ფეტელი მისი გამსწრები აღარაა.

ისევე როგორც სინგაპურში, იაპონიაშიც კვარცხლბეკის მეორე საფეხური "ტოიოტას" პილოტმა დაიკავა. ოღონდ, ამჯერად ეს იტალიელმა იარნო ტრულიმ შეძლო, ვინც სტარტიც მეორე პოზიციიდან აიღო, თუმცა პირველ მოსახვევამდე წინ მსოფლიოს ჯერაც მოქმედი ჩემპიონი ლუის ჰამილტონი გაუშვა. მაგრამ მეორე პიტ სტოპის შემდეგ, დაკარგული პოზიცია აღიდგინა და ის ფინიშამდე იოლად შეინარჩუნა. რბოლის შემდგომ პრესკონფერენციაზე, ტრულიმ რბოლას "საკვალიფიკაციო" უწოდა, რადგან მისი თქმით, საკვანძო მომენტებში მისი მთავარი მეტოქე, ისევე როგორც კვალიფიკაციებზე, დრო იყო.

რა შეეხება ჰამილტონს, ბრიტანელმა დაიჩივლა, რომ მეორე პიტ სტოპის შემდეგ, მის მანქანაზე მწყობრიდან სისტემა კერსი გამოვიდა. "სეიფტი ქარის ტრასაზე ყოფნისას, გუნდს რადიოკავშირით ვუთხარი, რომ კერს-ის გარეშე დავრჩი. რესტარტზე მე ის მჭირდებოდა, რათა იარნოსთვის გასწრების შანსი მქონოდა. ამის გარეშე, ბოლო მოსახვევიდან გამოსასვლელში მას ძალიან უნდა მივახლოებოდი, რომ სწორზე გასწრების შანსი გამჩენოდა, მაგრამ არც ეს გამომივიდა", - ნარბოლევს ყვებოდა ჰამილტონი.

რბოლა ქულებში დაასრულა კონსტრუქტორთა პირველობის ლიდერის, "ბრაუნის" ორივე პილოტმა - რუბენს ბარიკელო მეშვიდეზე, ჯენსონ ბატონი კი მერვეზე გავიდნენ, რის შემდეგაც აღდგა სინგაპურის დიდი პრიზისწინა სტატუს ქვო და ბრიტანელი ახლა ბრაზილიელ თანაგუნდელს ისევ 14 ქულას უგებს. სასწაული უნდა მოხდეს, რომ მან ესოდენ სოლიდური უპირატესობის შენარჩუნება ვერ შესძლოს. თუმცა, ფ1-ში ყველაფერი ხდება.

სხვათა შორის, კვალიფიკაციის შემდეგ, ორივე პილოტი ხუთი ადგილით უკან დასწიეს, რის შედეგადაც, გაცილებით უარეს მდგომარეობაში ბატონი აღმოჩნდა - მან რბოლა მე-11 ადგილიდან დაიწყო, ბარიკელო კი სტარტზე მე-6 დადგა (FIA-ს უცნაური სისტემის წყალობით). თუმცა, რბოლის მსვლელობისას, ბრიტანელმა საგრძნობლად წინ წაიწია, რაშიც მეტოქეებმაც შეუწყვეს ხელი.

ჯერ იყო და, სტარტიდან ცოტა ხანში, მის წინ მიმავალი რობერტ კუბიცა შეცდა, რის შემდეგაც მისი გასწრება ტექნიკის საქმე იყო. შემდეგ, ადრიან სუტილმა და ჰეიკი კოვალაინენმა იმდენი იბრძოლეს, სანამ ერთმანეთს დაეჯახნენ, ბატონმა კი ორივეს გაასწრო.

მოკლედ, იაპონური რანდევუს შემდეგ, ბატონი ბარიკელოს 14 ქულას უგებს, ფეტელს კი - 16-ს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონობის გასანაღდებლად, ბრიტანელს 6 ქულაღა სჭირდება. თითქმის გაინაღდა კონსტრუქტორთა თასი ბრაუნ GP-მ", რომელსაც მიზნის მისაღწევად, დარჩენილ ორ ეტაპზე ერთადერთი ქულაც ეყოფა.

მსოფლიო ჩემპიონატის ბოლოსწინა, მე-16 ეტაპს ბრაზილიის ქალაქ სან პაულუს ავტოდრომი ინტერლაგუში ორ კვირაში უმასპინძლებს.

იაპონიის დიდი პრიზი

სუზუკა. დისტანცია 305.416 კმ (4.558 კმ - 67 წრე)

1. სებასტიან ფეტელი (გერმანია, რედ ბულ-რენო) 1:28:20.443
2. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) + 4.877
3. ლუის ჰამილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენი) + 6.472
4. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) + 7.940
5. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) + 8.793
6. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, BMW ზაუბერი) + 9.509
7. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ბრაუნ GP) + 10.641
8. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ბრაუნ GP) + 11.474
9. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, BMW ზაუბერი) + 11.777
10. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, რენო) + 13.065
11. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, მაკლარენი) + 13.735
12. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, ფერარი) + 14.596
13. ადრიან სუტილი (გერმანია, ფორს ინდია) + 14.959
14. ვიტანტონიო ლიუცი (იტალია,ფორს ინდია) + 15.734
15. კაზუკი ნაკაძიმა (იაპონია, უილიამს-ტოიოტა) + 17.973
16. რომენ გროჟანი (საფრანგეთი, რენო) + 1 წრე
17. მარკ უებერი (ავსტრალია,რედ ბულ-რენო) + 2 წრე

გ. ხაიმე ალგერსუარი (ესპანეთი, ტორო როსო) + 9 წრე

გ. სებასტიან ბუემი (შვეიცარია, ტორო როსო) + 41 წრე

ა. ტიმო გლოკი (გერმანია, ტოიოტა) + 67 წრე

უსწრაფესი წრე: მარკ უებერი - 1:32.569 (50-ე წრე)

შენიშვნა: გ. - გამოეთიშა; ა. - არ უასპარეზია

პილოტთა კლასიფიკაცია:

1. ჯენსონ ბატონი - 85; 2. რუბენს ბარიკელო - 71; 3. სებასტიან ფეტელი - 69; 4. მარკ უებერი - 51.5; 5. კიმი რაიკონენი - 45; 6. ლუის ჰამილტონი - 43; 7. ნიკო როსბერგი - 34.5; 8. იარნო ტრული - 30.5; 9. ფერნანდო ალონსო - 26; 10. ტიმო გლოკი (გერმანია, ტოიოტა) - 24; 11. ფელიპე მასა - 22; 12. ჰეიკი კოვალაინენი - 22; 13. ნიკ ჰაიდფელდი - 15; 14. რობერტ კუბიცა - 9; 15. ჯანკარლო ფიზიკელა - 8*; 16. ადრიან სუტილი - 5; 17. სებასტიან ბუემი - 3; 18. სებასტიან ბურდე (საფრანგეთი, ტორო როსო) - 2; 19. კაზუკი ნაკაძიმა - 0; 20. ნელსონ პიკე (ბრაზილია, რენო) - 0; 21. ვიტანტონიო ლიუცი - 0; 22. ლუკა ბადოერი (იტალია, ფერარი) - 0; 23. რომენ გროჟანი - 0; 24. ხაიმე ალგერსუარი - 0

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. ბრაუნ-მერსედესი - 156; 2. რედ ბულ-რენო - 120.5; 3. ფერარი - 67; 4. მაკლარენ-მერსედესი - 65; 5. ტოიოტა - 54.5; 6. უილიამს-ტოიოტა - 34.5; 7. რენო - 26; 8. ბეემვე ზაუბერი - 24; 9. ფორს ინდია-მერსედესი - 13; 10. ტორო როსო-ფერარი - 5

მერაბ ლორთქიფანიძე
http://formula1ge.blogspot.com/